ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

27 დეკემბრიდან

„ახალი თაობა“+

სოკრატე

წიგნი და გაზეთი ერთად

2 ლარი



სამშაბათი, 27 დეკემბერი, 2011 №307 (5687) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი რუსეთის მოქალაქე ოფიციალურად აღარ არის



გვ. 2

რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო, იქნება თუ არა მილიარდერი კვლავ საქართველოს მოქალაქე



## ბაღათურია შაშკინის და გოროზიას იმპიჩმენტით იმუქრება

გვ. 4

## თამაზ დიასამიძე: „პრეზიდენტს ვადა 10 თვით უგრძელდება“



გვ. 3

დეპუტატი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს



## შალვა ნათელაშვილი: „მოვუწოდებ ივანიშვილს, საშობაოდ გაჭირვებულ ოჯახებს 300-300 ლარი დაურიგოს!“

გვ. 2



## კობა დავითაშვილი: ნაციონალებიც რუსული ფულით არიან დაფინანსებული

გვ. 2

## ლევან ვეფხვაძე: „ივანიშვილმა ოცნება 3-4 პოლიტიკურ ლიდერს აუხდინა“

გვ. 4



## მიხეილ სააკაშვილი: „ქართველი ხალხი არ არის იქ, სადაც ბნელეთის ძალები იკრიბებიან“

გვ. 3

## ირაკლი სესიაშვილი: „ახლო მომავალში ივანიშვილის პოლიტიკური ალიანსი კიდევ უფრო გაფართოვდება“



გვ. 3

ISSN 1987-9385

7 „ხელისუფლებამ დიალოგს პარტიების შანტაჟი არჩია“

5 საგარეო უწყება 2011 წელს წარმატებულად აფასებს

6 პრესის გავრცელების სააგენტოების: მაცნეს, პლანეტა-ფორტეს და ელვასერვისის განცხადება

7 ბიძინა გუჯაბიძე: „სააკაშვილს სოფლის მეურნეობაზე წარმოდგენა არა აქვს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# შალვა ნათელაშვილი: „მოვუწოდებ ივანიშვილს, საშობაოდ გაჭირვებულ ოჯახებს 300-300 ლარი დაურიგოს!“

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მოახლოებული შობა-ახალი წლის წინ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს გარკვეულ რჩევა-დარიგებებს აძლევს და პირობას დებს, რომ თუ ივანიშვილი ამ რჩევას გაითვალისწინებს, ქვეყნის პირველი ლეიბორისტის მხრიდან მისი მისამართით კრიტიკა შეწყდება.**

*შორენა კოწოწაშვილი*

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, შალვა ნათელაშვილი ივანიშვილს ურჩევს შობის წინ 300-300 ლარი დაურიგოს უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს, რათა მათ შეძლონ ნორმალური ახალი წლის დაყენება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა განაცხადა, ივანიშვილი სააკაშვილების, მერაბიშვილების და ადეიშვილების დაფინანსებას კი არ უნდა ახდენდეს, არამედ იმ გაჭირვებული ადამიანების, რომლებიც ახალ წელსაც ვერ იყენებენ ფინანსური პრობლემების გამო.

რაც შეეხება იმას, თუ ვის უნდა დაურიგოს ბიძინა ივანიშვილმა ეს ფინანსური დახმარება, როგორც ნათელაშვილმა მიუთითა, ბიზნესმენმა შეიძლება გამოიყენოს ის სია, რომელიც ხელისუფლებას სოციალურად დაუცველთა ბაზაში გააჩნია.

გუშინვე ლეიბორისტული პარტიის ლიდერი გამოეხმაურა „მედიაპალიტრის“ იურისტის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ მედიასაშუალება შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.

შალვა ნათელაშვილის თქმით, აჯობებდა სარჩელი „პალიტრას“ ნაახალწლევს შეეტანა.

– მე ძალიან მიყვარს მედია „პალიტრა“. რაღა ახალ წელს დაამთხვიეს. დღესასწაულებს ჩაევლო და მერე ექნათ. პატივს ვცემ იქ მომუშავე თითოეულ ჟურნალისტს და ტექნიკურ თანამშრომელს. მაშ შორის ხელმძღვანელობას. წინა ხელმძღვანელობას უფრო მეტ პატივს ვცემდი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. როცა „მედიაპალიტრას“ პრობლემები შეექმნა და შემოსავლების სამსახური შეუვარდა, პირველებმა ჩვენ გამოვუცხადეთ სოლიდარობა და მერე აგვყვა მთელი არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკური პარტიები. როცა მათ რამე გაუჭირდებათ, ხვალაც გვერდით დავუდგებით. მაგრამ საქმე ამაში არ არის. გასაგებია, რომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება ფინანსურად დავეხმაროთ მასმედიას, მეგობარს. ამას თავადაც განვიცდით. მაგრამ იმის გამო, რომ ღარიბი და უფულო ვარ, ძალიან ნუ დამჩაგრავ. ცოტა დამჩაგრე, ამას ავიტან, მაგრამ ძალიან ნუ გადამივლი. იმის გამო, რომ ჩემგან დაფინანსებას არ ელოდები. ეს იყო ჩვენი მკვეთრი რეაქციის საფუძველი, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.


შალვა ნათელაშვილი

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თქმით, „საბურთალოს ქუჩაზე მდებარე „მედიაპალიტრის“ შენობა ნამდვილად სკოლის კუთვნილება იყო. ამ სკოლაში სოსო შატბერაშვილი სწავლობდა. ნათელაშვილის თქმით, შენობა „მედიაპალიტრას“ მიხეილ სააკაშვილმა აჩუქა, ხოლო ფინანსურად ბიძინა ივანიშვილი დაეხმარა. თუმცა ეს შეიძლება არც დაფიქსირდა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, „მედიაპალიტრამ“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცრუ ცნობების გავრცელებისთვის შალვა ნათელაშვილს სასამართლოში უჩივლა.

„მედიაპალიტრის“ ადვოკატ ზვიად კორძაძის განცხადებით, შალვა ნათელაშვილს საკუთარი სიტყვების უკან წაღება ან მის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის დამტკიცება მოუწევს. კორძაძე აცხადებს, რომ „მედიაპალიტრის“ შენობა სკოლის კუთვნილება არასოდეს ყოფილა. ის პალიტრამ კერძო პირებისგან შეიძინა „თიბისი ბანკის“ კრედიტით.

# ბიძინა ივანიშვილი რუსეთის მოქალაქე ოფიციალურად აღარ არის

**რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო, იქნება თუ არა მილიარდერი კვლავ საქართველოს მოქალაქე**

*შალვა ჯოხაძე*

ჯერჯერობით უცნობია, დაუბრუნებენ თუ არა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას, თუმცა გუშინ გაირკვა, რომ ის რუსეთის მოქალაქე უკვე აღარ არის.

რუსეთის ფედერაციამ ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნა საკმაოდ სწრაფად დააკმაყოფილა, მოქალაქეობის დატოვება დაუდასტურა. ივანიშვილს მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეობა დარჩა.

– რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიის საელჩოსგან მიიღო.

რუსეთის მოქალაქეობის შეწყვეტის თხოვნით ბიძინა ივანიშვილმა 17 ოქტომბერს ოფიციალურად მიმართა საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას. ამ დროისათვის ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეა, – აცხადებენ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების საკითხს, თბილისის საქალაქო სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს გაახმაურებს.

ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძის ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს განაჩენს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძე 27 დეკემბერს 14 საათზე გამოაცხადებს.

„ქართული ოცნების“ იურიდიული ჯგუფის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი სასამართლოში ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძის მოქალაქეობასთან დაკავშირებით მიმდინარე დავის არსს განმარტავს. როგორც ქუცნაშვილი აცხადებს, ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე 2004 წლის ივლისიდან საქართველოს მოქალაქეები საგამონაკლისო წესით არიან, თუმცა მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა და განცხადებაში აღნიშნა, რომ პარალელურად საფრანგეთის მოქალაქეც იყო, ხელისუფლებამ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა გადაწყვიტა.

– საქართველოს პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ რადგან ბიძინა ივანიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მიიღო, ბიზნესმენმა და მისმა მეუღლემ კანონი დაარღვიეს, თუმცა ეს განმარტება უკანონოა, რადგან ამგვარი აკრძალვები ვრცელდება მხოლოდ ერთმაგი მოქალაქისთვის, ხელისუფლებას კი სურს, რაც აკრძალულია ერთმაგი მოქალაქისთვის, აეკრძალოს მულტიმოქალაქეს.


ბიძინა ივანიშვილი

დავის საგანი კი სწორედ ის არის, რომ არ შეიძლება ერთმაგი მოქალაქისთვის დაწესებული აკრძალვა მულტიმოქალაქეზე გავრცელდეს, – აცხადებს ქუცნაშვილი.

იურისტის თქმით, პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება მოტივირებული იყო პოლიტიკური მოსაზრებებით, რადგან საკმარისზე მეტი დამადასტურებელი მასალა აქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ არ შეიძლება ერთმაგი მოქალაქისთვის დაწესებული აკრძალვა მულტიმოქალაქეზე გავრცელდეს.

– როდესაც ჩვენ პრეზიდენტის წარმომადგენელს მივმართეთ და ვკითხეთ, რატომ შეეხო მოქალაქეობის შეწყვეტა ეკატერინე ხვედელიძეს, რომელსაც უკვე 2004 წელს ჰქონდა ორმაგი მოქალაქეობა, ან რატომ არ შეეხოთ მოქალაქეობის შეწყვეტა ბიძინა ივანიშვილის შვილებს, პრეზიდენტის წარმომადგენელმა გვიპასუხა, რომ ბავშვები არ აინტერესებთ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყენებს საკუთარ თანამდებობას, რათა თავის პოლიტიკურ პარტიას ძლიერი კონკურენტი ჩამოაშოროს, – ამბობს ქუცნაშვილი.

იურისტები აცხადებენ, რომ საკმაოდ არგუმენტირებული პოზიცია აქვთ და იმედოვნებენ, რომ გაიმარჯვებენ. თუმცა, სასამართლოს განაჩენის პროგნოზირება ალბათ არც ისე რთულია, საეჭვოა, კუბლაშვილის უწყებამ სააკაშვილის საწინააღმდეგო განაჩენი გამოიტანოს. ასეთ შემთხვევაში, იურისტები განაჩენს გაასაჩივრებენ.

# კობა დავითაშვილი: „ნაციონალებიც რუსული ფულით არიან დაფინანსებული“

*ნათია ხურცილავა*

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ალასანიას პარტიას, „რესპუბლიკელებს“, ზვიად ძიძიგურსა და კობა დავითაშვილს 4 მილიონ 400 ათასი ანგარიშში ჩაურიცხა, ხელისუფლება რუსულ ფულზე ალაპარაკდა.

რუსული ფულით ქართულ პოლიტიკაში და ქართული ოპოზიციის ნაწილის დაფინასებაზე პირველად პარლამენტის ტრიბუნიდან დეპუტატმა გია თორთალძემ ისაუბრა.

თორთლაძემ ივანიშვილი პირდაპირ დაადანაშაულა რუსული ფულით ქართულ პოლიტიკაში თამაშში ჩართავში.

იგივე ბრალდება წაუყენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ პოლიტიკოსებს არც ერთი განცხადება არ გაუკეთებიათ, მაშინ როდესაც ივანიშვილი მთავრობას აფინანსებდა.

ივანიშვილსადმი ბრალდება ძირითადად „გაზპრომზე“ მოდის, რადგან სწორედ „გაზპრომში“ ფლობს ერთპროცენტიან წილს, რაც მმართველობის თვალსაზრისით ერთპროცენტიანი წილი ბევრს არაფერს განსაზღვრავს, თუმცა ფინანსური გაანგარიშებით საკმაოდ დიდ თანხაზეა საუბარი.

ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ ის გაზპრომის ერთპროცენტიან წილს გაყიდის.

ბრიტანულმა გამოცემა გარდიანმა ცოტა ხნის წინ გაავრცელა სტატია, სადაც წერია, რომ ივანიშვილმა „გაზპრომის“ ერთპროცენტიანი წილი უკვე გაყიდა.

ივანიშვილმა ცნობილ პრესკონფერენციაზე, როდესაც მას კითხვა დაუსვეს რუსულ აქტივებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ის რადგან პოლიტიკაში მოდის, ყველა აქტივს გაყიდის, რაც არ იქნება მარტივი პროცესი, მაგრამ ის ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.


კობა დავითაშვილი

გაყიდა თუ არა ბიძინა ივანიშვილმა ყველა რუსული აქტივი და რაც მთავარია, რეალურად რა ბედი ეწია „გაზპრომის“ ერპროცენტიან წილს, ამაზე ივანიშვილს ოფიციალურად არ უსაუბრია.

ქართულ ოპოზიციას ჯერ ასეთი დიდი დაფინანსება არ მიუღია. ფინანსები რომ ბევრ რამეს განსაზღვრავს, ეს ფაქტია, მით უფრო პოლიტიკაში.

დიდ ფინანსებს პოლიტიკაში ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. თუმცა, მთავარია, რომ გადამხდელი ამ შემთხვევაში უცხო ქვეყნის მუსიკას არ უკვეთავდეს.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, რამდენად შეიძლება იყოს ის უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში რუსული მუსიკის შემსრულებელი?

ამ კითხვაზე ერთ-ერთი დაფინანსებული „ხალხის პარტიის“ ლიდერის კობა დავითაშვილის განცხადებით, როდესაც ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის მიერ ფინანსდებოდა, „რუსული წარმომავლობის ფულზე“ არავინ საუბრობდა. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე დავითაშვილმა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა.

თუ რუსული ფულით აფინანსებს ივანიშვილი ქართულ ოპოზიციას, ამ ლოგიკით იგივე ფულით აფინანსებდა ის ხელისუფლებას, ასევე ქართულ კულტურას.

– ეს ლოგიკა აქვს ხელისუფლებას – როდესაც შესანიშნავად იღებდა ბიძინა ივანიშვილისგან ფულს, მათ შორის ხელფასსაც, მაშინ არ იყო ეს რუსული ფული, როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებდა, არ იყო რუსული ფული და როგორც კი მან ოპოზიცია დააფინანსა მაშინ გახდა რუსული ფული. ან მაშინაც იყო რუსული ფული ან ახლაც არ არის. – განაცხადა კობა დავითაშვილმა.

ზვიად ძიძიგურის განცხადებით მათ კიდევ უფრო მეტი თანხები სჭირდებათ იმისთვის, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვან.

ამ შემთხვევაში ძიძიგური წინასაარჩევნო სამუშაოების შესრულებაზე საუბრობს, რომელიც არჩევნებამდე უნდა მოესწროს.

რესპუბლიკურმა პარტიამ დანარჩენებისაგან განსხვავებით მთავარ პროკურატურას დაასწრო და ღიად განაცხადა, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილისგან და კახი კალაძისაგან დაფინანსდნენ.

ივანიშვილი კიდევ დააფინანსებს თუ არა სხვა ოპოზიციურ პარტიას, რთული სათქმელია, რადგან მან უკვე დაასახელა პოლიტიკური პარტნიორები და სწორედ მათთან ერთად შეეცდება მიზნის მიღწევას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი სესიაშვილი: „ახლო მომავალში ივანიშვილის პოლიტიკური ალიანსი კიდევ უფრო გაფართოვდება“

## რომელ ძალებთან მიმდინარეობს კონსულტაციები

**რაში დაიხარჯება მიღებული დაფინანსება, როგორ გადაიბირეს ქდმ-ის მომხრეები, არის თუ არა მზად მოსალოდნელი ვადამდელი არჩევნებისთვის, როდის გაფართოვდება სამსუბიექტიანი კოალიცია და კონკრეტულად რა გეგმები აქვს ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“? „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ გამგეობის წევრი ირაკლი სესიაშვილი ესაუბრა.**

ქეთი ხომერიკი


ირაკლი სესიაშვილი

**ირაკლი სესიაშვილი:**

— ბატონმა ბიძინამ თავიდანვე განსაზღვრა თავისი პოლიტიკური პარტნიორები, ასევე ის ძალები, რომლებთანაც აპირებდა პოლიტიკურ პროცესში თანამშრომლობას და ცხადია, პოლიტიკურ პროცესს გარკვეული ფინანსური რესურსები სჭირდება და, რომ მოხდა ამ პოლიტიკური ძალების დაფინანსება კანონის ფარგლებში, ეს ბუნებრივია და აქ გასაკვირი არც არაფერია. ეს ხელისუფლებამ და სახელისუფლებო პროპაგანდამ მონათლა, ყოველ შემთხვევაში, იყო იმის მცდელობა, რომ მოენათლა, რომ ეს იყო რაღაც ,,რუსული ფული, რაც, უბრალოდ, ღიმილს იწვევს საზოგადოებაში. საზოგადოებამ მშვენივრად იცის რა პოლიტიკურ პროცესს ხმარდება ეს ფინანსები, ეს ქვეყნისთვის კეთდება და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის გასამდიდრებლად. აბსოლუტურად ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს და არავის არ უნდა ეგონოს, რომ ის ფინანსები პოლიტიკური ლიდერების კომფორტს მოხმარდება. არა, ეს მხოლოდ და მხოლოდ საქმეს მოხმარდება. ამ საქმეს კი ქვეყნის გადარჩენა და გამარჯვება ჰქვია.

***— და მაინც, კონკრეტულად რას მოხმარდება ეს თანხები? მიმღები პარტიების ,,არსენალში“ მყოფი ,,დამკვირვებლებისთვის“ ხომ არ არის განკუთვნილი?***

— ეს თანხა მოხმარდება პოლიტიკურ პროცესს — სხვადასხვა პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რეგიონებში ფილიალების გახსნას, პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესის მქონე საზოგადოების ჩართვას და პოლიტიკური სტრუქტურების მშენებლობას.

***— ითქვა, დიდი თანხა გადაურიცხა პარტიებსო... იცოდით თანხის ოდენობა?***

— ეს ის თანხა იყო, რაც კანონმდებლობით არის დაშვებული. რაც შეეხება ძალიან დიდ თანხებს, ნაციონალურმა მოძრაობამ გასულ წელს, თუ არ ვცდები, 14 მილიონი დახარჯა. ეს რაც ოფიციალურად ითქვა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე ათეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა ნაციონალური მოძრაობის ფარგლებში.

***— თორთლაძე აცხადებს, რომ რუსეთის მოქალაქე, ივანიშვილის მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება კანონდარღვევაა... ეს სამართლებრივი რეაგირების საფუძველი ხომ არ გახდება?***

— რა სამართლებრივი რეაგირება უნდა მოხდეს, ჩვენ ყველანაირად ვექცევით კანონის ფარგლებში. არც ერთი გიჟი არ გადადგამას ამ ხელისუფლების პირობებში უკანონო ნაბიჯს, ვიმეორებ, არ და ვერც გადადგამს. არ გადადგამს, რადგან ამის სურვილი არ აქვს ამ პოლიტიკურ გაერთიანებას. ამ პოლიტიკური გაერთიანების მიზანი სამართლიანი ქვეყნის აშენებაა, რომელიც უნდა ემყარებოდეს კანონის უზენაესობასა და დემოკრატიულ პრინციპებს, ამიტომ უკანონოდ ფულის ტრიალს არავინ აპირებს.

***— რაც შეეხება ,,ქართული ოცნების“ გეგმებს, რა მიმართულებით გააგრძელებთ მუშაობას, კონკრეტულად რა საკითხებია პრიორიტეტული, რა იქნება თქვენი უახლოესი ნაბიჯები?***

— აქ არის ორი ერთმანეთისგან დაშორებული და ამასთანავე პარალელური რეჟიმი. საზოგადოებრივი მოძრაობა, ფაქტობრივად, არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი ამოცანაა ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური რესურსის მოზიდვა, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა და საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ ,,ქართული ოცნება“ არ არის, უბრალოდ, ოცნება, არამედ რეალობაა, რომლის განხორციელების გარდაუვალობაა. ეს უნდა განხორციელდეს და რეალობად იქცეს. ამისათვის კი საჭიროა, რომ თავად საზოგადოებიდან წამოვიდეს ქვეყნის განვითარების ხედვები, ძირითადი პრინციპები, ამიტომ ქართული ოცნების ფარგლებში მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ორი კვირა გავიდა მისი დაფუძნებიდან, უკვე შექმნილია 10 თემატური ჯგუფი. თითოეულ თემატურ ჯგუფში 50– 60 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტია გაერთიანებული: აკადემიკოსები, პროფესორები და სხვა, რომლებიც შექმნიან დარგობრივ დოკუმენტებს, სადაც ერთი მხრივ იქნება სიტუაციური ანალიზი, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში, დარგების მიხედვით მოხდება მისი ანალიზი, რათა შემდგომში საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი ხელისუფლების ე.წ. რეფორმებმა თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ქვეყანა. მეორე მხრივ, ეს პროფესიონალები მოამზადებენ ქვეყნის განვითარების კონცეფციებს. ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ ქვეყნის განვითარების ისეთი კონცეფცია, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების ფარგლებში ღირსეული ცხოვრება.

***— და რეგიონებში თითოეულ მოქალაქემდე თქვენი პროგრამის მიტანას როგორ აპირებთ?***

— ჩვენ უახლოეს მომავალში მოვედებით მთელ საქართველოს. გაიხსნება ქართული ოცნების რეგიონალური და რაიონული ოფისები. მოხდება საზოგადოებასთან შეხვედრები, გავალთ რეგიონებში. ჩვენ თითოეული მოქალაქე უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ქართული ოცნების რეალიზება არის რეალობა და ამაში თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს საერთო ეროვნული საქმეა და ივანიშვილი არ იქნება მხოლოდ ერთი პოლიტიკური ლიდერი, ის იქნება ერთგვარად გამაერთიანებელი იმ ძალებისა, რომლებსაც რეალურად სურთ ქვეყნის განვითარება დემოკრატიულად, დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნება და ქვეყნის გაერთიანება.

***— ანუ ივანიშვილის კოალიციის კარი ღიაა? ვის ვიხილავთ ამ გაერთიანებაში, დამიკონკრეტეთ?***

— უახლოეს მომავალში საზოგადოება ნახავს, რომ ეს პოლიტიკური ალიანსი გაფართოვდება, ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. მასში ჩაერთვება ყველა ის ღირსეული ძალა, რომელიც მორალური ღირებულებების მატარებელია. მე მესმის, რომ საზოგადოებაში ბევრია კრიტიკა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიმართ, მათ შორის, თუნდაც პარტნიორი პოლიტიკური ძალების მიმართ, მაგრამ ეს არის ჩვენი საზოგადოება, ეს არის რეალობა, მოცემულობა. აი, ასეთი პოლიტიკური სპექტრი არსებობს ქვეყანაში და როგორც ბატონმა ბიძინამ თქვა, არც ერთი ქართველი დასაკარგი არ არის. ყველას უნდა მიეცეს ამ პროცესში ჩართვის საშუალება და სწორედ პროცესი გვანახებს მათი შესაძლებლობების გამოვლინებას.

***— ითქვა, ხელისუფლება ივანიშვილთან საბრძოლველად ოპოზიციაში რამდენიმე ცენტრის შექმნას გეგმავს, აი, მათ ივანიშვილის კოალიციაში ვერ ვიხილავთ. რა უნდა დაუპირისპიროთ ამ ვითარებას?***

— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობს გარკვეულწილად შექმნას იმის ილუზია, რომ ქვეყანაში არსებობს მესამე პოლიტიკური ცენტრი, ეს ასე არ არის. ეს ერთგვარად სახელისუფლებო ხრიკია, რათა მოხდეს პოლიტიკურ ძალთა გახლეჩვა, მათ შორის, დაპირისპირებაც. ხელისუფლება იყენებს ე.წ. ოპოზიციას, რომელიც ხელისუფლების პროპაგანდისტულ ნაწილს წარმოადგენს და არანაირი საერთო არ აქვს, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ პროცესებთან, გარდა იმისა, რომ გამოიყენებიან ინსტრუმენტად, იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალის მობილიზება მოხდება იმ ახალი, დიდი გაერთიანების ირგვლივ, რომელსაც ბატონი ივანიშვილი უდგას სათავეში და ეს შუა ბუნებრივად, გაიკრიფება.

***— აი, ქდმ ვის წაართმევს ხმებს ხელისუფლებას, თუ ივანიშვილს ? იგივე, მათი და ნაციონალური მოძრაობის ელექტორატი როგორ უნდა გადმოიბიროთ, თქვენ ხომ უმრავლესობით გეგმავთ მოსვლას...?***

— დღეს ვითარება არის ისეთი, რომ ყველა ოპოზიციური ხმა იქაჩება ივანიშვილისკენ. ეს პროცესი ჯერ კიდევ დასაწყისშია და იმის შემდეგ რაც პოლიტიკური პარტია დაფუძნდება დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი ე.წ ოპოზიციაში მყოფი ძალა და მათი მხარდამჭერები ღიად დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას და გადმოვლენ ივანიშვილის გუნდში. ამის ნიშნები უკვე არის და არაერთ გამოხმაურებას ჰქონდა ადგილი ბოლო პერიოდში, მაგრამ ჩვენი ამოცანაა ერთი მხრივ ხელისუფლების ლუსტრირება და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ხალხისთვის რეგიონებში, თუ ვინ არის ეს ხელისუფლება და რა რისკები და საფრთხეები წარმოიქმნება, თუ დარჩა ხელისუფლებაში. მეორე მხრივ, ჩვენ მოსახლეობას შევთავაზებთ კონკრეტულ გეგმას, ქვეყნის განვითარების კონკრეტულ გზებს.

***— თუ მოასწარით კი, რადგან საუბარია, რომ არჩევნები გაზაფხულზე ჩატარდება...მოასწრებთ მომზადებას, ივანიშვილს პოლიტიკური პარტიაც კი არ აქვს... და საერთოდაც, აპირებს მიმართოს პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით, თუ კი, როდის ?***

— ჩვენ ყველა სავარაუდო რისკებსა და საფრთხეებს ვაანალიზებთ. მათ შორის, ვითვალისწინებთ იმას, რომ შეიძლება არჩევნები გაზაფხულზე დაინიშნოს, შეიძლება გარკვეულ პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი და ა.შ, რადგან ხელისუფლება და სააკაშვილი რიგ შემთხვევებში მწყობრიდან გამოდიან და არაადეკვატურები ხდებიან მოქმედებებში. ვითვალისწინებთ ყველა ამ გარემოებას და სწორედ ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ჩქარა, მაგრამ თანმიმდევრულად წინ წავწიოთ პროცესები და მზად ვიყოთ ნებისმიერი მომენტისთვის. რაც შეეხება მოქალაქეობას, 27 — ში არის გადაწყვეტილების გამოცხადება სასამართლოსი და ამის შემდეგ ჩვენ გამოვიყენებთ ყველა, ხაზს ვუსვამ, ყველა კანონიერ შესაძლებლობას, რომ ივანიშვილმა მიიღოს მოქალაქეობა. იქნება ეს მიმართვა თუ სხვა ფორმა, ამას საზოგადოება მალე ნახავს. დამერწმუნეთ, ამ პროცესში ჩვენ ყველა სამართლებრივ ფორმას გამოვიყენებთ.

# თამაზ დიასამიძე: „პრეზიდენტს ვადა 10 თვით უგრძელდება“

## დეპუტატი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს

თეა მარხვაიძე

ოპოზიციის დიდი ნაწილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ელოდება. რასაც მმართველი გუნდი კატეგორიულად გამორიცხავს. ამასთან არავინ არ ამბობს როდის ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები.


თამაზ დიასამიძე

დეპუტატ თამაზ დიასამიძის აზრით, საპარლამენტო არჩევნები მომავალი წლის მაისში უნდა ჩატარდეს.

— მომავალი საპარლამენტო არჩევნების კანონიერი კონსტიტუციური ვადა 2012 წლის მაისია, საპრეზიდენტოსი კი — 2013 წლის იანვარი. კონსტიტუციაში ჩადებული ფუძემდებლური პრინციპების საწინააღმდეგო ნორმა ხელისუფლების გადამეტება-მითვისებად კვალიფიცირდება და საერთოსახალხო კენჭისყრის შედეგების იგნორირებაა, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დეპუტატმა თამაზ დიასამიძემ.

დეპუტატის განმარტებით, 2006 წლის 27 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებით დადგინდა, რომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2008 წლის ოქტომბერ-დეკემბერი ერთდროულად გამოცხადდა. ამ გადაწყვეტილებით პარლამენტს ვადა თვითნებურად 7-9 თვით უნდა გაეხანგრძლივებინა, რასაც მოსახლეობის უპრეცედენტო წინააღმდეგობა მოჰყვა. პლებისციტის შედეგად კი დადგინდა, რომ საპარლამენტო არჩევნები კანონიერ ვადებში — გაზაფხულზე ჩატარდებოდა.

— პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევის ახალი ვადები კონსტიტუციაში უნდა ასახულიყო. 2010 წლის 15 ოქტომბერს პარლამენტმა არჩევნების ვადების ძველი ნორმა -– პლებისციტამდე ჩანაწერი აღადგინა, რითაც ვადა პრეზიდენტსაც გაუგრძელდა. პარლამენტს ვადა მომავალი წლის მაისში ეწურება, მაგრამ არჩევნების თარიღად ოქტომბერია დადგენილი. შესაბამისად, პარლამენტს ვადა 6, პრეზიდენტს კი 10 თვით უგრძელდება, რადგან ამ უკანასკნელის უფლებამოსილება 2012 წლის იანვარში იწურება, — განაცხადა თამაზ დიასამიძემ.

მისი თქმით, კონსტიტუციაში დროულად უნდა შეიცვალოს უკანონო ნორმები და არჩევნები კანონიერ ვადებში ჩატარდეს.

დიასამიძე აღნიშნული მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილს მიმართავს. მისი გაანგარიშებით, კონსტიტუციის კანონიერ ფარგლებში მოქცევა თვე-ნახევარშია შესაძლებელი.

ოპოზიციის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას და გათვალისწინებას ხელისუფლება არ აპირებს. ამ ეტაპზე ასეა. ვნახოთ რა იქნება მომავალში.

# მიხეილ სააკაშვილი: „ქართველი ხალხი არ არის იქ, სადაც ბნელეთის ძალები იკრიბებიან“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2007 წელს ძალიან ბევრს მიაჩნდა, რომ ეს ეპოქა დამთავრდებოდა დაწყების გარეშეც იმიტომ, რომ მაშინ ყველა ძალა ერთად შეიკრა.



ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალციხეში განახლებული ადმინისტრაციული შენობის გახსნის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

— მე არ დამავიწყდება ჩვენი შეხვედრა საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 2007 წლის ბოლოს, როდესაც ძალიან ბევრს ჰყავდით ჩამოწერილი, ძალიან ბევრს მიაჩნდა, რომ ეს ეპოქა დამთავრდებოდა დაწყების გარეშეც, იმიტომ, რომ ყველა ძალა შეიკრა მაშინ. მაშინაც რუსეთის მიერ დაფინანსებული, ახლა ამაზე ღიად შეიძლება ლაპარაკი — მაშინაც მთელი უცხოური სპეცსამსახურებით ზურგგამაგრებული, მაშინაც მთელი ძველი საბჭოთა კორუმპირებული შევარდნაძის დროინდელი ხალხი ერთად შეკრული, ის, ვინც ძარცვავდა, ვინც ანადგურებდა, ვინც ამ დამცირებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. მაშინაც ეგონათ, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. მაშინ მე მოვედი აქ, თქვენთან, ახალციხეში და მითხარით — პირიქით, ყველაფერი ახლა იწყება და ჩვენ ერთად ავაშენებთ ჩვენს ქვეყანას. ჩვენ მაშინ გავიმარჯვეთ და გავიმარჯვეთ შემდეგაც, რადგანაც, როგორც არ უნდა შეიკრან წარსულის და ბნელეთის ძალები, როგორც არ უნდა მიგვათრევდნენ უკან საბჭოთა კავშირში, ჩაბნელებულ ეპოქაში, ჩაშმორებულ, გახრწნილ, შევარდნაძის დროინდელ მთავრობაში, უშუქობაში, უგზოობაში, უპერსპექტივობაში, ერთი და იგივე ხალხის მიერ მუდმივად ქვეყნის ძარცვაში, ქართველი ხალხი არის არა იქ, სადაც ისინი იკრიბებიან, არამედ ქართველი ხალხი ხართ თქვენ, ქართველი ხალხი არის ის, ვინც აქამდე მოიტანა ეს ქვეყანა, არ დაანგრევინა და არ მოაშლევინა ჩვენი იმედი, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მედიანიუსი

# ბაღათურია შაშკინის და გოროზიას იმპიჩმენტით იმუქრება

თეა მარხვაიძე

განათლების მინისტრის გარდა დეპუტატს პრეტენზიები ზაზა გოროზიასთანაც აქვს. ამ უკანასკნელის მუშაობა უარყოფითად ჯერ კიდევ მაშინ შეაფასა, როცა გოროზია სამეგრელოში გუბერნატორობდა.

ჯონდი ბაღათურიამ იკვლია, იკვლია და გამოიკვლია, რომ განათლების სამინისტროში ადგილი აქვს ელიტურ კორუფციას. ამ თემაზე საუბარს ის ჯერ კიდევ წინა კვირას აპირებდა.

უფრო ადრე ჯონდი ბაღათურიამ დიმიტრი შაშკინი სამშობლოს ღალატშიც ამხილა. ეს განცხადება მან პარლამენტის სხდომაზე გააკეთა. იმავე დღეს კოლეგებს წარუდგინა ფოტომასალაც. ამ ფოტოებზე ნაციონალების ნებიერა კახა ბენდუქიძე ვლადიმერ პუტინთან და სერგეი ლავროვთან იყო გადაღებული.

ალბათ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა, პუტინათან რომელიმე ოპოზიციონერ ლიდერს რომ ჰქონოდა ფოტო გადაღებული. მაგრამ ოპოზიციონერი ლიდერი სხვაა და ბენდო სხვა. კი ამტკიცებდა ჯონდი, ბენდუქიძე პუტინს უფრო მეტად შესციცინებს თვალებში, ვიდრე სააკაშვილსო, მაგრამ ვინ უგდო ყური. მავანმა ნაციონალმა ისიც თქვა, პუტინს რომ ხელს ართმევდა, ბენდუქიძეს ნიჩურტა ჰქონდაო.

იმავე დღეს ააფრიალა მან შაშკინის მამხილებელი დოკუმენტიც. ბაღათურიამ კოლეგებს ჯერ ის ამცნო, რომ შაშკინმა აგვისტოს ომში დაღუპული გმირის გელა ჭედიას სახელობის სკოლა გააუქმა, მერე კი იმის გამო შემოჰკრა განგაშის ზარებს, რომ მინისტრს რუსულ ოკუპაციაზე ძალიან ლაითად ეწერა და ამ ომს აგვისტოს მოვლენად მოიხსენიებდა.

ეს კი, დეპუტატის თქმით, ნაციონალური სტანდარტებით სამშობლოს ღალატი იყო. ნაციონალებმა არც ამას მიაქციეს მაშინ ყურადღება, მაგრამ ჯონდი ბაღათურია რისი ჯონდი ბაღათურია იქნებოდა, ეს ამბავი ასე რომ დაეტოვებინა.

მან წინა პარლამენტის სხდომაზე დაანონსა, რომ მაგარი ამბის გახეთქვას აპირებდა. ეს ამბავი ძალიან არ მოეწონა დავით ბაქრაძეს და ბაღათურიას მიკროფონი გამოურთო. თან ზუსტად იმ მომენტში, როცა ის ამ ამბავზე საუბრობდა.

წინა კვირაში პარლამენტში თორთლაძე და პარტიების დაფინანსება იყო. ამასობაში გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილს რიგი პარტიებისთვის კინაღამ მილიონი ჩაუხუტებია.

ამის გამო ბაღათურიამ ცოტა ხანს მოთმინება გამოიჩინა და რისხვის ზარებს გუშინ შემოჰკრა. მან პარალამენტში საგანგებო შეხვედრა გამართა, რომელსაც ქართული დასის გარდა ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრები დაესწრნენ.

**საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი დიდ ხანია რაც დიმიტრი შაშკინს პარლამენტში იბარებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რიგი მიზეზების გამო, მათ დაძახილზე საკანონმდებლო ორგანოში მისვლას ვერ ახერხებს. არადა, ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისთვის" განათლების მინისტრთან ძალიან ბევრი შეკითხვა დაუგროვდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური ჯონდი ბაღათურია გახლავთ, რომელიც შაშკინს „ქართული დასის" სახელითაც მტრობს.**


ჯონდი ბაღათურია

ჯონდი ბაღათურიამ ისაუბრა ზოგადად განათლების სისტემაში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესზე., რომელიც მისი თქმით, არანაირ კრიტერიუმებს არ ექვემდებარება

– ეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინა ქურდაძემაც აღიარა, – განაცხადა ბაღათურიამ.

– 2003-2004 წლებში სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობითვე სულ 3 175 სკოლა იყო, აქედან 1 045 სკოლა გაუქმდა და 2 130 სკოლა დარჩა. ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ 2003-04 წლებში სულ 655 000 მოსწავლე იყო, ხოლო დღეს საჯარო სკოლებში არის 542 400 მოსწავლე. რაც შეეხება კერძო სკოლებს, კერძო სკოლებში 2003-04 წლებში იყო 16 900 მოსწავლე, 2010-11 წლებში კი 53 000 მოსწავლე, კერძოდ, კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა გაიზარდა 36 100 მოსწავლით, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 112 000-ით; ამ ციფრების შედარებით კი, როგორც ბაღათურია ამბობს, ჩანს, რომ საჯარო სკოლების 100 000-მდე მოსწავლე სწავლის გარეშე დარჩა, – განაცხადა დეპუტატმა.


დიმიტრი შაშკინი

ჯონდი ბაღათურიამ გუშინ კონკრეტულად მარტვილის რაიონზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მარტვილის რაიონში კორუფციაში ჩართულები არიან, ზაზა გოროზია – სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი, მისი ძმა ზაალ გოროზია, რომელიც მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და სონია ჭოჭუა, რომელიც ზაზა გოროზიას მასწავლებელი და მარტვილის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელია.

რაც შეეხება კონკრეტულ სქემას, ბაღათურიამ წარადგინა ამონაწერი მეწარმეთა არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდანაც დგინდება, რომ მარტვილში კერძო სკოლა „სხივის" ერთ-ერთი დამფუძნებელი არის მარტვილის რესურსცენტრის ხელმძღვანელი მუშაკი ვინმე ბუთხუზ წულაია.

ასევე რესურსცენტრის დირექტორის მეუღლე ზურაბ დანელია და ზაალ გოროზიას სიმამრის შოთა ჯვებენავას ბიძაშვილი ლიანა ჯვებენავა, ხოლო ამ სკოლის დირექტორი არის გია კიზირია, რომელიც ზაალ გოროზიას სიმამრის შოთა ჯვებენავას დისშვილია. კერძოდ, სონია ჭოჭუას ბარათზე დაყრდნობით, რომელზეც ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ სულ რაღაც ერთწინადადებიანია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გელა ჭედიას სახელობის სოფელ ლეთიცხვაიას საჯარო სკოლა გააუქმა, რის შედეგადაც ბავშვები იძულებულები არიან გადავიდნენ მარტვილის კერძო სკოლა „სხივში", რომელიც აღნიშნული თანამდებობის პირების კუთვნილებაა. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს 10 კმ-მდე უწევთ მე-2 საჯარო სკოლაში ფეხით გავლა და ამიტომ ისინი იძულებულები არიან უფრო ახლოს მდებარე სკოლა „სხივში" გადავიდნენ. საჯარო მოხელეების მათივე სფეროში არსებული კერძო საქმიანობაში ჩართვა კი, ბაღათურიას თქმით, ეწინააღმდეგება ინტერესთან შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონს.

ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნული კანონის მე-3 მუხლიც წარადგინა, რომლის მიხედვითაც კორუფცია საჯარო სამსახურში არის საჯარო სამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მისი მიღებისა და დაკანონებაში ხელის შეწყობა. ასევე, ბაღათურიამ აღნიშნა, რომ ამავე კანონის მიხედვით, თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამეწრამეო საქმიანობის კონტროლი ამ თანამდებობის პირის, ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება. თუმცა, როგორც ბაღათურია ამბობს, აღნიშნული კერძო სკოლის დამფუძნებლები სწორედ რესურსცენტრის ხელმძღვანელები არიან, რომლის ხელმძღვანელიც ზაზა გოროზიას ახლობელი, მისი მასწავლებელია.

– ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე ჩემს ერთ-ერთ კოლეგას გაუჭირდა პრეზიდენტისთვის დაესახელებინა კონკრეტული ფაქტები ელიტური კორუფციისა. მე მსურს, რომ პრეზიდენტს გადავუგზავნო ეს მასალები, რათა მას არა მხოლოდ სიტყვიერი განცხადება, არამედ მტკიცებულება ჰქონდეს იმისა, თუ რას ნიშნავს ელიტური კორუფცია და რა ხდება ამ მხრივ დღეს საქართველოში, – განაცხადა ბაღათურიამ.

მისი კოლეგა, რომელმაც პრეზიდენტს ელიტური კორუფციის ფაქტები ვერ დაუსახელა გურამ ჩახვაძე იყო. ეს იმ დღეს მოხდა, როცა პრეზიდენტი პარლამენტს სტუმრობდა. მაშინ ოპოზიციამ სხვადასხვა ტიპის განცხადებები გააკეთა. ედეპ-ს წარმომადგენელმა ელიტურ კორუფციაზე ისაუბრა, მაგრამ როცა პრეზიდენტი ჩაეძია ფაქტები დამისახელეო, შერცხვა და ვერაფერი ვერ თქვა.

ბაღათურიას ამ შემთხვევაში პროკურატურის იმედიც აქვს.

დეპუტატის თქმით, მის მიერ წარმოდგენილ ფაქტებზე რეაგირება პროკურატურასაც უნდა ჰქონდეს.

იმ შემთხვევაში თუ პროკურატურა არაფერს არ მოიმოქმედებს, ბაღათურია სხვა მეთოდით აპირებს ბრძოლის გაგრძელებას.

ის თავის პოლიტიკურ ძალასთან ერთად შაშკინის და ზაზა გოროზიას წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას აპირებს.

თეა მარხვაიძე

# ლევან ვეფხვაძე: „ივანიშვილმა ოცნება 3-4 პოლიტიკურ ლიდერს აუხდინა"

**ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ამბავმა ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს დაუკარგა ძილი. ეხლაც დიდი სჯა-ბაასი მიდის იმაზე უნდა მიეცა თუ არა ივანიშვილს იმ 4 პოლიტიკური პარტიისთვის ფული.**

ამ თემაზე აქტუალურ აჟიოტაჟს გვერდი ვერც ქრისტიან-დემოკრატებმა აუარეს. ივანიშვილის ფინანსებთან დაკავშირებით ლევან ვეფხვაძე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი იმ ადამიანების ბედზეც სწუხს, რომელსაც აქამდე ივანიშვილი აფინანსებდა. საუბარია კულტურისა და სპორტის მოღვაწეებზე. რომლებსაც ბიზნესმენი ყოველთვიურად დამატებით თანხებს უხდიდა.

მას შემდეგ რაც მან პოლიტიკაში მოსვლა სცადა ხელისუფლებამ მის ქველმოქმედებასაც ჩარჩოები დაუწესა.

ყველას მოეხსენება, რომ ხელისუფლება ითხოვს ამ ადამიანებმა უარი თქვან ივანიშვილის დახმარებაზე.

ლევან ვეფხვაძემ ჯერ კიდევ წინა კვირაში იკითხა რას აპირებდა სახელმწიფო ამ ადამიანების დასახმარებლად, თუკი ისინი ბიზნესმენის დახმარებაზე უარს იტყოდნენ.

ხელისუფლებას არაფერი არ უთქვამს რას აპირებენ. განცხადება კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ გააკეთა. რომელმაც აღნიშნა, რომ თეატრებმა ივანიშვილიდ დახმარებაზე უარი თქვეს.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ლევან ვეფხვაძემ ბიძინა ივანიშვილის ფონდის კომპენსირების მიზნით, კულტურისა და სპორტის მოღვაწეების დასაფინანსებლად 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა მოითხოვა.

– აღნიშნული თანხა იმ მეცნიერების, მსახიობების, მომღერლების, მუსიკოსებისა და სპორტსმენებიათვის უნდა გამოიყოს, რომლებსაც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა. ჩემი გათვლებით, სულ საჭიროა ბიუჯეტიდან 10-12 მილიონი ლარის გამოყოფა, – ამბობს ვეფხვაძე.

მისი განმარტებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ახალი საკნონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებთან დაკავშირებული იურიდიული პირების მიერ გაწეული ქველმოქმედება ამომრჩეველთა მოსყიდვად ჩაითვლება, შესაბამისად, რამდენიმე ათასი მოქალაქე, კერძოდ კი, საზოგადოების გამორჩეული ნაწილი: მეცნიერები, მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, სპორტსმენები ელემენტარული საარსებო საშუალებების გარეშე დარჩებიან.

– ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, ოცნება 3-4 პოლიტიკური ლიდერისათვის აეხდინა და ამ სასიქადულო ხალხის ნაცვლად, მათ მომეტებულ პოლიტიკურ თუ პირად ამბიციებს აფინანსებს, – დასძინა ლევან ვეფხვაძემ.

დეპუტატის განცხადებითვე, თავად ხელისუფლების გადაწყვეტილება იმპულსური, დაუფიქრებელი და პოლიტიკური კნიუნქტურით არის ნაკარნახევი და 2012 წლის მილოცვის ნაცვლად, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის საშიმშილოდ გაწირვაა.

**რა პრეტენზიები აქვს ქდმ-ს ერთ-ერთ ლიდერს**



ლევან ვეფხვაძე

„ქრისტიან-დემოკრატები" მიმართავენ მთავრობასა და შესაბამის სამინისტროებს, არ გაწირონ ეს ხალხი, დათვალონ ხარჯები და ბიუჯეტში სატანადო ცვლილებები ასახონ.

– „ქრისტიან-დემოკრატები" მზად ვართ, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩავერთოთ, რათა არაერთი მეცნიერი, მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი თუ სპორტსმენიო საარსებო წყაროს გარეშე არ დარჩეს, –- აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

როგორც უკვე ვთქვით. ნიკა რურუამ თქვა, რომ მსახიობები ივანიშვილთან კავშირს წყვეტენ. გუშინ ეს ინფორმაცია მსახიობებმა არ დაადასტურეს.

სააგენტო „ინტერპრესნიუსის" ცნობით, გუშინ თბილისის სხვადასახვა თეატრის დასის წარმომადგენლები საქართველოს თეატრის საზოგადოების შენობაში შეიკრიბნენ და კეთილი ნების დოკუმენტი მიიღეს. ამ დოკუმენტში, როგორც მსახიობები ამბობენ, წერია – „მსახიობები ერთხმად აცხადებენ, რომ არ წყვეტენ ურთიერთიობას ბიძინა ივანიშვილსა და „ქართუ ჯგუფთან".

როგორც მსახიობმა შეკრების შემდეგ განაცხადეს, მათ მიაჩნიათ, რომ ქველმოქმედებაზე უარის თქმა უზნეობაა.

შეხვედრას თითქმის ყველა თეატრის წარმომადგენელი და მსახიობი ესწრებოდა – მარჯანიშვილის, კინომსახიობთა, მოზარდმაყურებელთა თეატრების, ასევე გრიბოედოვის, ოპერის თეატრის წარმომადგენლები, რუსთაველის თეატრის მსახიობები.

როგორც რეჟისორმა, ქეთი დოლიძემ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ამ ფორმით გამოხატავენ მადლიერებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

გურანდა გაბუნიას, ნინელი ჭანკვეტაძისა და ქეთი დოლიძის განცხადებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკა რურუას განცხადება, რომ თეატრის მმართველებმა უარი განაცხადეს ივანიშვილისსგან დაფინანსების მიღებაზე, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან თეატრის მმართველებს მსახიობებისთვის ამის შესახებ არაფერი უცნობებია.

– რურუას არ აქვს უფლება, ილაპარაკოს მსახიობების სახელით და მან გვასწავლოს მორალი და ზნეობა. რურუა ვერ განსაზღვრავს ჩვენს ზნეობას და მორალს, – აღნიშნა ქეთი დოლიძემ.

ამასთან, როგორც ქეთი დოლიძემ აღნიშნა, საუბარია, რომ ახალი წლიდან თეატრებში ხელფასები 20 პროცენტით უნდა გაიზარდოს. „თუ ბიძინა ივანიშვილი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოსყიდვას ახორციელებდა, კულტურის სამინისტროს ინიციატივა ხელფასების ზრდის შესახებ მოსყიდვა არ არის"?, – აცხადებს ქეთი დოლიძე. „კეთილის ნების" დოკუმენტზე მსახიობების ხელმოწერები გრძელდება.

# საგარეო უწყება 2011 წელს წარმატებულად აფასებს

**საგარეო საქმეთა სამინისტრომ წლის ბოლო პრესკონფერენციაზე 2011 წელი შეაჯამა. მიმდინარე წელს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმატებული სამუშაო წელი უწოდა.**

ნათია ხურცილავა

ქართული დიპლომატიის წარმატებად მიჩნეულ იქნა ევროკავშირთან მიმდინარე მოლაპარაკების დაწყება, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე და ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე.

წლის მთავარი მიღწევები საგარეო დიპლომატიის კუთხით ევროკავშირზე გადის. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მთავარ მოთამაშეს, საფრანგეთის პრეზიდენტს მიაჩნია, როდესაც თბილისში იმყოფება, თავი ევროპაში ჰგონია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის კარს ხვალვე გაგვიღებენ.

ევროპულ ოჯახამდე საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი გზა აქვს გასავლელი, თუმცა მთავარი მონაპოვარი შეიძლება უვიზოდ მიმოსვლა გახდეს, რაც არცთუ მარტივი მისაღწევია და ამ მიმართულებით საქართველოს ბევრი სამუშაოს შესრულება მოუწევს.

ევროკავშირთან მიმდინარე მოლაპარაკებებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, თორნიკე გორდაძე ხელმძღვანელობს.

მთავარი მომლაპარაკებელი, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკების დასრულებას წელიწადნახევარში ვარაუდობს. რას შეცვლის ეს ქართველი მეწარმეებისთვის, ამას დრო გვიჩვენებს.

ლიბერალი ეკონომისტები ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებენ.

ლიბერალური ეკონომიკის მტკიცე მხარდამჭერები ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ რეგულაციებს ეკონომიკის განვითარებისთვის მძიმე მარწუხებად განიხილავენ. თუმცა, ფაქტი ერთია, საქართველომ ევროკავშირისკენ სწრაფვა არ უნდა შეანელოს.

— წარმატებაა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება. მომდევნო წლის განმავლობაში სერიოზული დიალოგი იქნება სავიზო საკითხებზე ევროკავშირთან. ეს არის მნიშვნელოვანი წარმატება ამ წლის განმავლობაში. — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, სერგი კაპანაძემ.

საგარეო უწყებაში კიდევ ერთ წარმატებად დიპლომატიური უწყების გახსნა დაასახელეს სხვადასხვა ქვეყნებში.

— მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავების კუთხით გვქონდა წარმატებები. ამ წლის განმავლობაში რამდენიმე საელჩო გაიხსნა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 22 ქვეყანასთან დავამყარეთ დიპლომატიური ურთიერთობები. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ქართული დიპლომატია მრავალ პოლარული, მულტი ვექტორული და მნიშვნელოვანია მსიფლიოს ყველა კუთხეში პარტნიორების ძებნა და მათთან ურთიერთობების გაღრმავება. საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებები გვქონდა ასევე მრავალმხრივი დიპლომატიის კუთხით. — განაცხადა სერგი კაპანაძემ.

როგორც მოსალოდნელი იყო გარღვევები არ მომხდარა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. თუმცა, საქართველოსა და რუსეთის დიპლომატებს ერთ მაგიდასთან მოუწიათ დასხდომა.

ბევრი ფიქრისა და ამერიკელი თუ ევროკავშირელი პარტნიორების სურვილის თუ რჩევის გათვალისწინებით, საქართველომ რუსეთს თანხმობა მისცა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე.

რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთს მოუწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ირიბად აღიარება.

— ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა ქართული დიპლომატიისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო. — ამბობს კაპანაძე.

სერგი კაპანაძე აცხადებს, რომ ამ დროისთვის არ არის შერჩეული კომპანია, რომელიც ფსოუს, როკისა და ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მონიტორინგს განახორციელებს.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, შვეიცარულმა მხარემ გამართა კონსულტაციები ქართულ მხარესთან და ასევე ატარებს კონსულტაციებს მოსკოვთან.

კაპანაძის განცხადებით, შეთანხმების მიხედვით განსაზღვრულია, რომ კომპანიის შერჩევა მოხდება სწორედ შვეიცარული მხარის მიერ ამ კონსულტაციების საფუძველზე.

— ეს ნიშნავს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება შვეიცარიამ უნდა მიიღოს. ისინი შეარჩევენ კომპანიას არა მარტო ჩვენი და რუსეთის მოსმენის საფუძველზე, არამედ სხვადასხვა ფინანსური მოსაზრებით და ამა თუ იმ კომპანიების გამოცდილებისა და საერთაშორისო რეპუტაციის გათვალისწინებით. — განაცხადა სერგი კაპანაძემ.

მისივე თქმით, უახლოეს კვირებში გახდება ცნობილი, თუ რომელ კომპანიას დაიქირავებს შვეიცარული მხარე და მისცემს მონიტორინგის მანდატს. ვმო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, ზუგდიდი-ფსოუს, როკი-გორისა და ლარსის საბაჟო დერეფნებში მონიტორინგს დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია განახორციელებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებას გამოეხმაურა.

ლუკაშევიჩი შეეცადა დადებული ხელშეკრულება დაეკნინებინა. მან გააკეთა განმარტება, რომ თითქოს საბაჟო კონტროლი წესდება არა საქართველო–რუსეთის საზღვარზე, არამედ სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს საზღვარზე და აფხაზეთისა და საქართველოს საზღვარზე.

კაპანაძე განმარტავს, რომ საბაჟო ტერმინალებზე საერთოდ არ არის საუბარი აღნიშნულ ხელშეკრულებაში. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საუბარია საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე და იქ საერთაშორისო მონიტორების განლაგებაზე.

— კარგად მესმის, რომ რუსეთის ხელისუფლება შეშფოთებული არის იმით, თუ როგორ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. თუ ბატონი ლუკაშევიჩი რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არსებულ დოკუმენტში იპოვის ტერმინებს „საბაჟო ტერმინალი“ ან „საექსპორტო დეკლარაცია“, ვთხოვდით, რომ გვაჩვენოს. — განაცხადა სერგი კაპანაძემ ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადების კომენტირებისას.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლება შეშფოთებულია, თუ როგორ შეთანხმებას მოაწერეს ხელს ვმო-სთან დაკავშირებით.

— ლუკაშევიჩის განცხადების ადრესატები არიან მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები, რადგან მოლაპარაკებების პროცესში ჩართული არ იყვნენ არც ცხინვალისა და არც სოხუმის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები. ასეთი განცხადებით რუსეთს სურს დაარწმუნოს ეს ადამიანები, თითქოს ამ შეთანხმებით ყველაფერი რიგზეა და თითქოს საქართველო აიძულეს, თავისივე წითელი ხაზები გადაეკვეთა. — აღნიშნავს სერგი კაპანაძე.

მისივე თქმით, რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმებით მოხდა საერთაშორისო მონიტორინგის დაწესება ყველა იმ ტვირთზე, რომელიც შედის და გადის სავაჭრო კორიდორებში, რომელიც მოიცავს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიებს.

— ჩვენ ვაპირებთ, ეს შეთანხმება შევასრულოთ და იმედი გვაქვს, რომ რუსეთის ფედერაციაც შეასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას. — განაცხადა კაპანაძემ.

რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებით, რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმებით ქართულმა მხარემ მოსკოვის მსგავსი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რა ბედი ელის გუდიაშვილის მოედანს

## ზვიად არჩუაძე: „კატალოგში, რომლითაც მერია აქეთ–იქით დადიოდა, შენობების იერსახის შეცვლაზე საუბარი არ ყოფილა“

შალვა ჯოხაძე

დედაქალაქის ქუჩებში ნებისმიერი ახალი მშენებლობის დაწყება საზოგადოების უდიდეს ინტერესს იწვევს და პროექტების შესახებ მსჯელობა იმართება. ბოლო დღეების განმავლობაში რამდენიმე ასეთმა საკითხმა წამოიწია. თბილისის მერიაში გვამშვიდებენ, რომ ხელისუფლება დედაქალაქის იერსახის დამახინჯებას არ დაუშვებს. „სააკაძის მოედანი და თბილისის ზღვა იყიდება“ — ასე დასათაურებული სტატია შემოგთავაზათ ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე დღის წინ. თუმცა დედაქალქის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსის, ზვიად არჩუაძის განცხადებით, ამაში საგანგაშო არაფერია. თანაც, მაგალითად, რამდენიმე წლის წინ გამოცხადებული პროექტით — სააკაძის მოედნის განვითარების შესახებ, ინვესტორები მაინც არ დაინტერესებულან, თბილისის ზღვა კი მომავალში საკმაოდ ათვისებული და განაშენიანებული ადგილი იქნება დედაქალაქში. ზვიად არჩუაძემ „ახალ თაობას“ დედაქალაქის ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებული სიახლეების შესახებ უამბო, მათ შორის, მან კომენტარი გააკეთა გუდიაშვილის მოედნის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებაც. მოგეხსენებათ, პარასკევს მოედანზე აქციაა დაგეგმილი, ხოლო თუკი საკითხი ბოლომდე არ გაირკვევა, აქციები ყოველ შაბათს გაიმართება.

**ზვიად არჩუაძე:**

— როცა ინვესტორთან მოლაპარაკებაზეა საუბარი და ამ თემაზე ხმაური ტყდება, თითქოს მერია რაღაცას ყიდის, ეჭვი მიჩნდება, რომ ეს ხალხი ვერ ერკვევა, რაზე მიდის საუბარი.

სააკაძის მოედნის შესახებ როცა ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროისთვის, 2008 წლისთვის, როცა ეს პროექტი ერთ-ერთი გამოფენისათვის მოვამზადეთ, ქალაქის წინაშე ქუჩების ტრანსპორტით გადატვირთულობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა. ეს პრობლემა დიდი ქალაქების წინაშე ყოველთვის დგას. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ერთი მხრივ, ტრანსპორტი თუ გარკვეული პროდუქცია ამ ქალაქში სწრაფად გადაადგილდეს და მეორე მხრივ, ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი გვქონდეს. ამისთვის ვცდილობთ, მაქსიმალურად განვტვირთოთ მოძრაობა, ხელი შევუწყოთ მის მოწესრიგებას. ამ პრობლემის გადაწყვეტისას ერთ-ერთი მიდგომა მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაა. როდესაც ვსაუბრობდით, თუ როგორ შეიძლებოდა ამ ტერიტორიაზე პრობლემის მოგვარება, ერთ-ერთი თემა ზუსტად ის იყო, რომ მიწისქვეშა პარკირება მოწყობილიყო. თუმცა, ასეთი პროექტის განხორციელება საკმაოდ ძვირია და ჩადებულ ინვესტიციას ამოღება უნდა. ამიტომ, ინვესტორებს შევთავაზეთ, თუკი ისინი დაინტერესდებოდნენ, დამატებითი შემოსავლის მისაღებად, მიწის ქვეშ კომერციული ობიექტები მოეწყოთ.

საერთოდ, ყველგან ინვესტიციების დეფიციტია, ყველას უნდა ინვესტიციები და ცდილობენ, რაღაც დამატებითი პირობები შესთავაზონ ინვესტორებს. ვფიქრობ, ჩვენი მხრიდან ასეთი შეთავაზება ჩვეულებრივი რამ იყო.

თუმცა, როგორც ზვიად არჩუაძისაგან შევიტყვეთ, საბოლოოდ, ეს პროექტი არ განხორციელდა, ინვესტორები ამ თემით არ დაინტერესდნენ. არჩუაძე აცხადებს, რომ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუნდაც ის, რომ მოედანზე ავტომანქანების მოძრაობა მოწესრიგდა, გაუვალი საცობები აქ აღარ არის.

— დღეისათვის პრობლემა იმავე სიმწვავით აღარ დგას. მიწისქვეშა პარკინგის მოწყობა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში კვლავ რჩება ჩვენს პრიო-



ზვიად არჩუაძე

რიტეტად. შესაბამისად, თუ გამოჩნდა ინვესტორი, რომელსაც პარკირების ადგილების გაკეთება მოუნდება, მასთან სხვა წინადადებები გვექნება. თუკი ნახავთ, სხვა გამოფენებზე რა წინადადებებით გავედით, აღმოაჩენთ, რომ სააკაძის მოედნის თემა უკვე აღარ ფიგურირებს. თუმცა, თუკი მსურველი გამოჩნდება, მასთან ინდივიდუალურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, — აცხადებს არჩუაძე.

რაც შეეხება თბილისის ზღვის საკითხს, არჩუაძის თქმით, ცხადია, აქ წყლის გაყიდვაზე არ არის საუბარი. ეს პროექტი თბილისის განვითარების იმ დიდ პროექტებში შედის, რომლითაც მერიაში ამაყობენ. არჩუაძე აღნიშნავს, რომ როცა „ფაინენშელ თაიმსი“ საუბრობს, თბილისი სამხრეთ ევროპის ქალაქების ხუთეულში შედისო, ეს ბევრს ნიშნავს.

ზვიად არჩუაძე:

— რკინიგზის გადატანა უდიდესი პროექტია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ქალაქის ცენტრში ახალი უბანი განვითარდეს. თბილისის ზღვის გარშემო კი ტერიტორია მნიშვნელოვნად განვითარდება, ეს არის უდიდესი რესურსი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. აქ აშენდება ოლიმპიური სოფელი, გადადის ზოოპარკი, სასტუმროები, რომელთაც შესანიშნავი ხედები ექნება. თუმცა, ამ ყველაფერს დრო სჭირდება, პროექტებს — დაზუსტება, როგორც კი ეს შესაბამის კონდიციამდე მივა, საზოგადოება ყველაფერს გაიგებს.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად გუდიაშვილის მოედნის საკითხი რჩება. ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ინვესტორის მიერ შემოთავაზებული პროექტი, რომლის თანახმადაც, ამ ტერიტორიაზე თანამედროვე სტილის შენობები უნდა აიგოს. მერიაში კი კატეგორიულად აცხადებენ, რომ ამ მოედნის იერსახე არ შეიცვლება.

ზვიად არჩუაძე:

— ჩვენ მიერ შედგენილ კატალოგში მოედანზე მდებარე შენობების იერსახის შეცვლაზე საუბარი არ არის. ჩვენ მოედნის ისტორიული სახის შენარჩუნების მომხრეები ვართ. როცა ინვესტორი მოდის, მისთვისაც შენობების იერსახის შენარჩუნება არის მთავარი. რადგანაც ეს თემა თქვენ, ჟურნალისტებმა წამოსწიეთ, ისიც უნდა აღნიშნოთ, რომ ცალსახად, იმ კატალოგში, რომლითაც მერია აქეთ-იქით დადიოდა და ინვესტორებს ამ პროექტს სთავაზობდა, შენობების იერსახის შეცვლაზე საუბარი არ ჰქონია.

ამ ქალაქში მოქმედი კანონმდებლობა ასეთია და არ მგონია, რომ ეს ოდესმე შეიცვალოს — ჩვენი თანხმობის გარეშე ვერავინ ვერაფერს აკეთებს, ეს, მგონი, ყველამ კარგად იცის. მერიის არქიტექტურის სამსახურისგან არის საჭირო ნებართვა და ელემენტარულად, მიუღებელ პროექტზე ნებართვა არ გაიცემა.

„ახალმა თაობამ“ გუდიაშვილის მოედნის გულშემატკივართა თხოვნა, რომ მათი წარმომადგენლები მერიაში მიიღონ და საჯაროდ განუმარტონ, რა ვითარებაა მოედანთან დაკავშირებით, ზვიად არჩუაძესთან საუბრის დროსაც დააფიქსირა.

— მერიას ჰყავს შესაბამისი წარმომადგენლები და თუ საჭირო იქნება, ასეთი შეხვედრა შედგება. ჩვენს მოქალაქეებთან საუბრის პრობლემა არასოდეს გვქონია, — ამ თემაზე ასეთი კომენტარი გააკეთა ზვიად არჩუაძემ.

იმედია, ასეთი შეხვედრა შედგება. მანამდე კი, აქციაა დაანონსებული, რომელიც ორგანიზაცია „თბილისის ჰამქრის“ ინიციატივით გაიმართება.

„თბილისის ჰამქარმა“ გუდიაშვილის მოედანთან დაკავშირებით თბილისის მერს მიმართვაც გაუგზავნა.

— მივესალმებით რა გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით თბილისის მერიის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, მიგვაჩნია, რომ თბილისის მერიამ წერილობითი ფორმით უნდა განუმარტოს გუდიაშვილის მოედნის ავსტრიული საინვესტიციო ჯგუფის „ირაო მაგნატ გუდიაშვილის“ წარმომადგენლებს, რომ მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის განხორციელება შეუძლებელია. ვინაიდან, გუდიაშვილის მოედანი წარმოადგენს თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონას, ამ ტერიტორიაზე არსებული შენობების უმრავლესობას გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და მაღალი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება. ამდენად, ყოვლად დაუშვებელია ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული შენობების დანგრევის ხარჯზე ახალი განაშენიანების მოწყობა და ისტორიულ გარემოში უხეში ჩარევა.

ამდენად, აღნიშნულ მოედანთან მიმართებაში გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი უნდა ემსახურებოდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილის შენარჩუნებას.

თბილისის მერიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად უნდა განისაზღვროს ერთადერთი ადეკვატური ქმედება, რომელიც შესაძლოა გავრცელდეს ამ ტიპის მაღალმხატვრული ღირებულების შენობებზე, რაც გამოიხატება შენობათა კონსერვაცია-რესტავრაციაში.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები უნდა გაიწეროს თბილისის მერიასა და ინვესტორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ტექნიკური დავალების სახით.

საზოგადოების მხრიდან მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, გთხოვთ, აღნიშნული ტექნიკური დავალება გამოქვეყნდეს თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საზოგადოების მხრიდან გუდიაშვილის მოედანის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმოკლეს ვადაში დაიგეგმოს თქვენი — ქალაქის მერის, მერიის წარმომადგენლების, ქალაქის განვითარების ფონდის, ინვესტორისა და ჩვენი, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიონალთა გაერთიანებული ჯგუფის შეხვედრა, — მიმართავენ დედაქალაქის მერს.

# ,,ახალი კაპიტალი“ თბილისის მერიას უჩივის

შორენა კოწოწაშვილი

**საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების ოფისში გუშინ იურისტებმა ეკა ბესელიამ და არჩილ კბილაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია, რა ხდება როსტომ მეფის სასახლის ირგვლივ.**



ეკა ბესელია

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ერეკლეს მოედანზე მდებარე როსტომ მეფის სასახლე ეკუთვნის შპს ,,ახალ კაპიტალს“, რომელიც ,,ქართუ ჯგუფში“ შემავალი კომპანიაა.

— ერთგვარი საჯილდაო ქვა გახდა როსტომ მეფის სასახლე ხელისუფლებისთვის და ის იყენებს ამ სასახლეს, როგორც პოლიტიკური დევნის ერთ-ერთ საშუალებას კანონიერი მესაკუთრის წინააღმდეგ. შენობა ეკუთვნის ,,ახალ კაპიტალს“, — განაცხადა ეკა ბესელიამ და ის ოთხი საკითხი ჩამოთვალა, რომლებიც დღეის მდგომარეობით როსტომ მეფის სასახლეს უკავშირდება. პირველი — თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ როსტომ მეფის სასახლის მშენებლობის შეჩერება და ექსპლუატაციაში არმიღება, მეორე — მერიის მიერ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აღნაგობის უფლების გაუქმება, მესამე — სასახლეში უცხო პირების შეჭრა და მეოთხე — როსტომ მეფის სასახლის წინ უკანონოდ ხის კონსტრუქციის აღმართვა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, შპს ,,ახალმა კაპიტალმა“, რომლის ინტერესებსაც ადვოკატი არჩილ კბილაშვილი იცავს, საკუთარი ინტერესების დასაცავად სამართლებრივი პროცედურები წამოიწყო.

— დღესვე შევა სარჩელები როგორც მერიაში, ისე სასამართლოში კანონიერი ინტერესების აღსადგენად. დღეს ვაპირებთ შევიტანოთ საჩივარი თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წინააღმდეგ, რომელმაც უკანონოდ გვითხრა უარი როსტომ მეფის სასახლის ექსპლუატაციაში მიღებაზე. დღესვე შევა სარჩელი სასამართლოში თბილისის მერიის და ზედამხედველობის სამსახურის წინააღმდეგ. საქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოები განიხილავენ სარჩელებს მერიის ზედამხედველობის სამსახურების წინააღმდეგ. მერიამ და ზედამხედველობის სამსახურმა უკანონოდ შეაჩერეს როსტომ მეფის სასახლის მშენებლობა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, უახლოეს კვირაში საჩივარი შევა სასამართლოში აგრეთვე შენობაში უკანონოდ შეჭრილი ადამიანების წინააღმდეგ მათი გამოსახლების მოთხოვნით. ბესელიას თქმით, სასამართლოში სარჩელი შევა იმ კუთხითაც, რომ დაევალოს პოლიციას კანონიერი მოქმედებების შესრულება.

— ეს არის ჩვენი სამართლებრივი ბრძოლის მეთოდები. ეს სარჩელები ამ კვირაში აუცილებლად შევა იმისათვის, რომ მივაღწიოთ უმოკლეს ვადაში როსტომ მეფის სასახლის კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებას, ანუ ამ შენობით სარგებლობის უფლების აღდგენას, — აღნიშნა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, ის, რასაც ახლა აკეთებს ქალაქის მერია და მისი ზედამხედველობის სამსახური და ეს არის აბსოლუტურად უკანონო მოქმედებები, მეორე მხრივ პოლიცია, რომელიც უმოქმედოდაა და არ რეაგირებს კანონის დარღვევაზე, რაც ხდება როსტომ მეფის სასახლესთან დაკავშირებით, გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებას სურს პოლიტიკური დევნის მიზნით საკუთრების უფლება ხელყოს და ამით პრობლემები შეუქმნას მის კანონიერ მესაკუთრეს.

არჩილ კბილაშვილი: ჩვენ ვფიქრობთ რომ ამ სასახლესთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური განცხადება გააკეთა. რატომ ვფიქრობთ ამას: არის მოქმედი წესი, როდესაც რაღაც მშენებლობა დასრულდება, დასრულება დადასტურებული უნდა იყოს ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შენობის ექსპლუატაციაში მიღებით. როცა ამ შენობის მშენებლობა დასრულდა, ჩვენ მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს მივმართეთ ზედამხედველობის სამსახურს, რომ შენობა ვარგისად ეცნო. პირველ სექტემბერს ივანიშვილი ჯერ პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანდა. 30 სამუშაო დღე არის კანონით იმისათვის, რომ ზედამხედველობის სამსახურმა შენობა ან ვარგისად ცნოს, ან არ ცნოს. თუ ამ 30 სამუშაო დღის განმავლობაში არც ერთ ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მაშინ შენობა ითვლება ვარგისად და ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია გასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. 30 დღიანი ვადა, ანუ 30 სამუშაო დღე 13 ოქტომბერს ამოიწურა, ივანიშვილს უკვე აქვს გაკეთებული საჯარო პოლიტიკური განცხადება. 26 ოქტომბერს კი მერიის მხრიდან პირველი გამოხმაურება იყო. მოვიდნენ და მათ მოიტანეს დოკუმენტი, რომ შეაჩერეს მშენებლობა, რადგან აღმოაჩინეს ხარვეზი. ჩვენ ვთვლით, რომ 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი სწორედ ის პოლიტიკური განცხადებები იყო, რომელიც ივანიშვილმა გააკეთა. მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დაგვიანებით, მაგრამ ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, შპს ,,ახალმა კაპიტალმა“ მერიის მიერ წარმოდგენილი ხარვეზი გამოასწორა და ხელახლა მიმართა მერიის ზედამხდველობის სამსახურს პროექტის დასამტკიცებლად. არჩილ კბილაშვილი აღიარებს, რომ გარკვეული შეუსაბამობები მართლაც იყო. საუბარია რამდენიმე ფილის არასწორ განლაგებაზე. ეს მიზეზი, კბილაშვილის თქმით, უმნიშვნელოა და არ შეიძლება ეს მშენებლობის შეჩერების საფუძველი გამხდარიყო. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მერიაში იმსჯელეს ,,ახალი კაპიტალის“ მიერ შეტანილ ახალ პროექტზე, მაგრამ პირველი მოსმენით იგი ჩავარდა. ხმები ასე განაწილდა: სამი მომხრე, ოთხი წინააღმდეგი.

როგორც ,,ახალი კაპიტალის“ წარმომადგენელმა მიუთითა, კანონით მხარეს უფლება აქვს ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები გაითვალისწინოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ კანონს არ უმოქმედია. მერიამ უარი თქვა ხარვეზის გამოსწორების შემდეგაც მშენებლობის გაგრძელებაზე.

— მოკლედ, ჩვენ ვთვლით, რომ მშენებლობის შეჩერების მიზანი იყო ის, რომ რაც შეიძლება დიდი დროის განმავლობაში არ მომხდარიყო ამ შენობის ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისად მისი გამოყენება. ყველასთვის ცნობილია, რომ სწორედ როსტომ მეფის სასახლე იყო მოაზრებული ამ მოძრაობის თუ პოლიტიკური გაერთიანების ოფისად. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მერიის გადაწყვეტილებით სწორედ ეს იქნა აღკვეთილი, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა და მიუთითა, რომ უკვე გასაჩივრებულია მშენებლობის შეჩერება. საჩივარი განიხილა ქალაქის მერიამ, უარი უთხრა მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამიტომ დღეს შედის სასამართლოში სარჩელი, სადაც მოვითხოვთ ერთდროულად ზედამხედველობის სამსახურის 26 ოქტომბრის დადგენილების გაუქმებას, რომლითაც მშენებლობა შეჩერდა და ასევე მოვითხოვთ მერის 7 დეკემბრის განკარგულების გაუქმებას, რომლითაც კანონიერად ცნო მერიამ მშენებლობის შეჩერება.

# სად მიდის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი?

შორენა კოწოწაშვილი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში რომ სერიოზული პრობლემებია და მას ვერც ბაკურ კვეზერელის მიერ ნიანგების და ბაყაყების მოშენების პროექტმა უშველა და ვერც ამერიკული სომინდის მასობრივად დათესვამ, ფაქტია. ახალი მინისტრის ზაზა გოროზიას პირობებში კი ეს სფერო იმდენად ჩაკვდა, რომ აქა–იქ ისიც კი ითქვა, ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით ჭიაყელების მომრავლება და ექსპორტი განიზრახაო.**



რამდენად არის ეს ყველაფერი საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების საწინდარი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი წინაპრები და მიწაზე მომუშავენი, ალბათ, დიდხანს იხარხარებდნენ ამ ნოვაციაზე. დღეს კი მაღალი ტრიბუნებიდან კარგად ანაზღაურებული ჩინოვნიკები და სააკაშვილის მთავარობის წევრები ამაყად ამტკიცებენ, რომ აგრარულ სექტორში გატარებული რეფორმები წარმატებულია და გლეხებს ფინანსურ პრობლემებს მოუხსნის.

სააკაშვილის თანაგუნდელებისგან და აგრარული სექტორის „მამებისგან“ განსხვავებულად ფიქრობენ ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში კარგად ერკვევიან და სამინისტროს კონკრეტულ ნაბიჯებზეც აქვთ ზუსტი ინფორმაციები.

— სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, როგორც ჩანს, სხვა გზისკენ მიექანება და არა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ალექსანდრე ლომოური და მონაცენებზე დაყრდნობით, რომელიც საჯარო წესით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გასცა.

რატომ ვერ ხერხდება სწორად გააზრებული პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობაში და მხოლოდ არჩევნების წინ რატომ ახსენდება ხელისუფლებას გლეხობა და მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები? — ეს კითხვა მუდმივად ისმის, თუმცა პასუხიც ყოველთვის ერთგვაროვანია. სახელისუფლო პარტია და თავად სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუდმივად გვარწმუნებენ, რომ სამინისტროს მხრიდან ისეთი პროექტების განხორციელება ხდება, რომელიც გლეხობას ადგილებზე გაუწევს დახმარენას, რათა მათ მიერ მოყვანილი პროდუქცია გაცილებით მეტი იყო და არც რეალიზაცია გაუჭირდეთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ალექსანდრე ლომოურის განცხადებით, სოფლის მეურნეობა დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია და მას ხელისუფლებაც კარგად ხედავს. თუმცა აგრარული სექტორის განვითარება შეგნებული პოლიტიკის ნაწილია.

— წინასაარჩევნოდ ხელისუფლებამ გლეხებისთვის 30 ლარიანი სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის დარიგება დაიწყო, რომელიც არასაკმარისია, თუნდაც ნახევარი ჰექტარი ფართობის დასამუშავებლად. სწორედაც რომ მსგავსი არასწორი გაანგარიშებით და არასწორი პოლიტიკით ეს ხელისუფლება და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნულ თანხებს ჰაერში ფანტავს და სად მიდის, კაცმა არ იცის, — აცხადებს ალექსანდრე ლომოური. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთებს, ის ასე გამოიყურება: მინისტრი სახელფასო სარგო — 3 540 ლარი; მინისტრის მოადგილეები — 2 950, 2 720 ლარი; დეპარტამენტის უფროსი — 1 800 ლარი, ხოლო მოადგილე — 1 400 ლარი; სამსახურის უფროსი — 1 800 ლარი, მოადგილე — 1 200 ლარი; სამმართველოს უფროსი — 1 200 ლარი, მოადგილე — 1 100 ლარი; მრჩეველი — 1 250 ლარი, ხოლო თანაშემწის, მთავარი სპეციალისტებისა და მძოლების ხელფასი 800 ლარით განისაზღვრება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2011 წლის ბიუჯეტის ათვისებამ პირველი დეკემბრის მონაცემებით შეადგინა 79 832 690 ლარი. მათ შორის ადმინისტრაციული ხარჯები — 7 885 690 ლარი; ხოლო პროგრამული ხარჯები — 71 945 791 ლარი იყო.

ისმის კითხვა: მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰქონდა აღნიშნული რაოდენობის თანხა, რატომ არ მიაქცია ყურადღება სოფლის მეურნეობის განვითარებას? ეს კითხვა დღესაც უპასუხოდ რჩება. საინტერესოა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რა თანხები გასცა თანამშრობლების მივლინებასა თუ პრემიებზე? როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი ომარ კაჭარავა მიუთითებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა პრემიებზე დახარჯულია 317 465 ლარი, ხოლო მივლინებებზე — 435 052 ლარი. საერთოდ კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროში დასაქმებულია 132 თანამშრომელი.

— სოფლად მყოფი საზოგადოების სოციალური მდგომარეობა დღეს კიდევ უფრო რთულდება იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით და ხელოვნურად ხდება ფასების მატება. ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარებაში ბიუჯეტს ზრდის, თუმცა რეალური ნაბიჯები არ იდგმევა. 21-ე საუკუნეში, როცა მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარების ბუმი დგას, საქართველოს ხელისუფლებამ გლეხზე ზეგავლენა მოახდინა და მისი დეგრადირება შეძლო, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ალექსანდრე ლომოური.

# საგარეო უწყება 2011 წელს წარმატებულად აფასებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ვალდებულებები აიღო და ფაქტობრივად, აღიარა, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სუბიექტები არიან.

მინისტრის მოადგილის აზრით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით რუსეთთან მიღწეული შეთანხმება ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

სერგი კაპანაძემ მიღწეულ წარმატებათა შორის გამოყო ასევე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი საქართველოში და გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში დევნილების შესახებ რეზოლუციის მიღება.

მინისტრის მოადგილის თქმით, საქართველოს ბევრი გამოწვევა აქვს მომავალი წლისთვის და თბილისი იხელმძღვანელებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ასევე შეფასდა ევროსასამართლოს 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლომ დაშვებულად გამოაცხადა საქმე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“.

— საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება აღნიშნულ ფაქტს და მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების დასაცავად წინ გადადგმულ ნაბიჯს. — განაცხადა კაპანაძემ.



## პრესის გავრცელების სააგენტოების: მაცნეს, პლანეტა–ფორტეს და ელვასერვისის

## განცხადება

პრესის გამავრცელებელი კომპანიები ითვალისწინებენ და იზიარებენ ქ. თბილისის მერიის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ აუქციონებში მონაწილე და გამარჯვებული სუბიექტების (აღნიშნული დაადასტურა გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2011 წლის 19 დეკემბრის №51-ში კომპანია „პოულტრი ჯორჯიას“ მიერ გაკეთებულმა განცხადებამ) წინადადებებს და აკეთებენ შემდეგ განცხადებას:

ქალაქის ტერიტორიიდან აღებული იქნა პრესის გამავრცელებელი კომპანიების სს „მაცნეს“, შპს „პლანეტა ფორტესა“ და შპს „ელვასერვისის“ კუთვნილი ჯიხურები, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა პრესის გავრცელებას ქალაქ თბილისში.

2011 წლის 28 დეკემბერს გამოცხადებულ მე-80 აუქციონზე ძირითადად გამოტანილია სს „მაცნეს“, „პლანეტა-ფორტესა“ და „ელვასერვისის“ კუთვნილი ჯიხურების განთავსების ადგილები.

ალნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ გამოგვიცხადონ სოლიდარობა და არ მიიღონ მონაწილეობა იმ ლოტებში, რომლებიც ემთხვევა მერიის მიერ აღებული პრესის გამავრცელებელი ჯიხურების განთავსების ადგილებს, კერძოდ:

სს „მაცნე“ ლოტი №№:7,8,9,10,11,12,13,15,16,18,19,23,24,25;

შპს „ელვასერვისი“ ლოტი №№14,17,21;

შპს „პლანეტა-ფორტე“ №№3,6,26.

**შემდეგ აუქციონებში მონაწილეობის შესახებ სისტემატიურად მოგაწვდით ინფორმაციას.**

# ბიძინა გუჯაბიძე: სააკაშვილს სოფლის მეურნეობაზე წარმოდგენა არა აქვს

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ ბიძინა გუჯაბიძესთან**

***— ბატონო ბიძინა, როგორ აფასებთ ხელისუფლების ისეთ აქციებს, როგორიცაა 30-ლარიანი ვაუჩერის დარიგება, სახელმწიფოს ხარჯზე გარკვეული მოქალაქეებისთვის კბილების ჩასმა?***

— ხელისუფლების ასეთი ქმედებები არის ამომრჩევლის მოსყიდვა. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ ასეთი საკითხები ჯანდაცვისა თუ სხვა პროგრამებში გაწეროს და მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს, პიარაქციებს ატარებს. ნორმალურ ქვეყნებში ასე ხდება. მსგავსი პიარაქციები მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩევლის მოსყიდვისთვის ტარდება, მაგრამ ამით ხელისუფლება ვერაფერს მიაღწევს. ხალხმა უკვე გაიცნობიერა, რომ ხელისუფლებას ისინი მანამდე არ ახსენდება, სანამ არჩევნები არ მოახლოვდება.

***— თუმცა, ადამიანების ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ გარკვეული ნაწილი ამას მაინც იჯერებს. თქვენ რატომ არ ხმაურობთ ისე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენ წინააღმდეგ გარკვეულ საკითხებზე?***

— ჩვენ ამომრჩევლებთან შეხვედრები ჯერ არ დაგვიწყია. საარჩევნო რეჟიმში ჯერ არ ვართ. როცა საარჩევნო რეჟიმში ვიქნებით, ამაზე გამახვილდება ყურადღება. მოსახლეობას ვურჩევთ, უარი არ თქვას დაფინანსების მიღებაზე. ქვეყნისთვის, ზოგადად, ფინანსური პოლიტიკისა და ეკონომიკური მდგომარეობისთვის, აუცილებელია ხელისუფლებამ პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში გაწეროს ის თანხები, რომელსაც ითვალისწინებს სოციალური პროგრამებისთვის, ამ თანხების გაცემა და დაფინანსება ჯანდაცვის სამინისტროს მეშვეობით უნდა ხდებოდეს. ეს არ უნდა იყოს დაკავშირებული არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებულ ხელისუფლების რაიმე კეთილ ჟესტთან. ამდენად, ეს არის ხელისუფლების მხრიდან ამომრჩევლების მოსყიდვის კლასიკური ფორმა. რატომ მანამდე არ ახსენდებოდათ ეს ადამიანები? ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებებით რატომ აფინანსებენ იმ ადამაიანებს, რომლებიც სტომატოლოგიურ მომსახურებას საჭიროებენ? საქართველოს მოსახლეობას ჩვენ დავარწმუნებთ, რომ ასეთი საკითხები მსგავსი გზით არ უნდა ფინანსდებოდეს. ყველაფერი კანონის ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

***— მოსახლეობის დიდ ნაწილს დიდი ხანია აღარ სჯერა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების...***

— კარგი იქნება თუ ამ დაფინანსებაზე უარს არ იტყვიან, მაგრამ ასეთი დაფინანსების რეალური მიზანიც ექნებათ გაცნობიერებული. არა მგონია, მოსახლეობა ამაზე წამოეგოს.

***— ზოგადად, ამ წელში ხელისუფლება როგორ ემსახურებოდა ხალხს, როგორი შედეგები ჰქონდა?***

— არავითარი ზრდა სოციალური პროგრამების დაფინანსების მიმართულებით არ არის. იზრდება ქვეყნის თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, ფინანთა სამინისტროების დაფინანსება, მაშინ, როდესაც სოცილაურად დაუცველი ფენები კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა არიან. ის ყბადაღებული პენსიის 10-20-ლარიანი მატება, მიზერულია იმასთან შედარებით, რაც სჭირდება მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს. საარსებო მინიმუმთანაც არ არის მიახლოებული. ვიღაც შეიძლება მოტყუვდეს, მაგრამ ვინც სოფელში ცხოვრობს, კარგად იცის, რომ 30 ლარი აბსოლუტურად არაფერია იმ თანხებთან შედარებით, რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის გასაძლიერებლად.

***— ანუ ეს აშკარად პოლიტიკური კორუფციაა?***

— შეიძლება ასეც შევაფასოთ. არა მგონია, სააკაშვილი სოფ;ლის მეურნეობაში იყოს ჩახედული. თუ სააკაშვილი სოფლის მეურნეობაში ჩახედულია, უფრო თავისმომჭრელია მისი განცხადებები, თითქოს 30-ლარიანი ვაუჩერი გლეხს ხვნა-თესვაში მიეხმარება.

***— ვაუჩერს თუ ვერ გამოიყენებთ, სანაცვლოდ ბანკიდან ფული გამოიტანეთო.***

— ეს არის ქრთამი მოსახლეობისთვის, რათა მათ ხმა მისცენ ხელისუფლებას.

***— ამ წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად რა მიგაჩნიათ?***

— ორიგინალური ნამდვილად არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ პირველი და მთავარი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენაა.

***— ანუ ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა ქართულ პოლიტიკაზე.***

— დიახ, ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად პოლიტიკაზეც, ეკონომიკაზეც და სამომავლოდ სოციალურ საკითხებზეც. მოსახლეობას იმედი გაუჩნდა, რომ ხელისუფლება თუ შეიცვლება, მათი სოციალური პრობლემები აშკარად მოგვარდება უახლოეს პერიოდში. ხელისუფლების შეცვლიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი მათ ოჯახებზე რეალურად იგრძნობენ, რა გავლენა მოახდინა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ.

***— როგორ ფიქრობთ, ეს პათოსი 2012 წელსაც გაგრძელდება?***

— რა თქმა უნდა. არჩევნების თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. არავინ იცის, ნაციონალებს როდის მოუფრინდებათ თავში არჩევნების დანიშვნა და სააკაშვილი რას გადაწყვეტს, არჩევნები ახლა დანიშნოს თუ შემოდგომაზე. ამიტომ აღნიშნული ფაქტორი განმსაზღვრელი იქნება 2012 და შემდგომი წლების სოციალურ ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

***— საგარეო პოლიტიკური კუთხით, რას მიიჩნევდით ყველაზე მნიშვნელოვნად? 2011 წელს იყო რამე ისეთი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე?***

— იგივე ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი საგარეო პოლიტიკაზეც ახდენს გავლენას. ხალხი უკვე დაიმედებულია იმით, რომ რუსეთთან კონფლიქტი აღარ იქნება, თუ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი მოვა. პირიქით, ურთიერთობები დარეგულირდება. რა თქმა უნდა, ევროატლანტიკური სივრცისკენ ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება. ეს იმას არ ნიშნავს, უახლოეს 2-3 წელიწადში ევროკავშირში, ან ნატოში შევალთ, მაგრამ დემოკრატიული რეფორმები გატარდება და დემოკრატიული ძვრები მოხდება. პირველ რიგში, ეს შეეხება საარჩევნო სისტემას, ადამიანის უფლებებს, ეკონომიკის ლიბერალიზაციას იმ კუთხით, რომ ხალხი დასაქმდება. რუსეთის ბაზარი გაიხსნება. საფრთხეები მაქსიმალურად თავიდან იქნება აცილებული. მომავალ წლებში ასეთი პოლიტიკა გატარდება. ხალხს ბიძინა ივანიშვილის დიდი იმედი აქვს და მხარს ამიტომ უჭერს. წარმოგიდგენიათ, იმ გამოკითხვებშიც კი, რომელიც ბოლო პერიოდში ჩატარდა, ბიძინა ივანიშვილი მნიშვნელოვან რეიტინგს ფლობს. ბატონი ბიძინა ივანიშვილის რეიტიგი თავისთავად გაიზრდება, როცა ის პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო ქმედითად შემოვა თავისი პოლიტიკური გუნდით, კოალიციის ჩამოყალიბებით, შემდეგ მოსახლეობასთან მისვლითა და მათთვის კოალიციის პროგრამის გაცნობით. ჯერ ჩამოუყალიუბებელ პოლიტიკურ სრტუქტურას ამხელა რეიტინგი რომ აქვს, ეს მრავლისმეტყველია და იმაზე მიანიშნებს, რომ ხალხს იმედი გაუჩნდა.



***— ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით ძალიან დიდ ძვრებს ელოდება საზოგადოება. ვფიქრობ, მართლაც ასე იქნება, მაგრამ მანამდე ბევრი დაბრკოლებაა გადასალახი. საარჩევნო კოდექსი როგორ მოგწონთ? ახლა მიღებული საარჩევნო კოდექსი პრობლემებს არ შეუქმნის ბიძინა ივანიშვილის ახალ ძალას არჩევნების პროცესში?***

— ეს ძალიან პრობლემური საკითხია. ჩვენ არ ვაპირებთ ახლანდელი საარჩევნო კოდექსით დაკმაყოფილებას. როდესაც კოალიცია შეიქმნება და მყარ საფუძველზე დადგება, მაშინ გააქტიურდება ჩვენი და მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევა. ერთობლივად ვიმოქმედებთ იმისათვის, რომ საარჩევნო გარემო კვლავ დაიხვეწოს და შეიცვალოს. ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება. ამაში ჩაერთვებიან საერთაშორისო ექპერტები, ვენეციის კომისიაც და ყველა. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელობანია. პირველი რიგის ამოცანაა, საარჩევნო გარემო უფრო დემოკრატიული გახდეს.

***— ბატონო ბიძინა, პარლამენტმა საარჩევნო კანონი უკვე მიიღო. ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული პრობლემები გადაწყვეტილად მიაჩნია...***

— არჩევნებამდე დიდი დროა. ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას ვაპირებთ.

***— ე.ი. თქვენ არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხს კიდევ ერთხელ წამოწევთ და აიძულებთ პარლამენტს, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს?***

— დიახ.

***— რა გზით აიძულებთ ხელისუფლებას ამის გაკეთებას?***

— არ ვიცი, რას ფიქრობს ამაზე ბატონი ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ბიომეტრიული მონაცემებით სიების ფორმირება. ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ თანხებს თვითონ გადაიხდის, ანუ დონორი უკვე არსებობს. ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციებს მკაფიოდ უნდა შევატყობინოთ, რომ არავითარი დაბრკოლება დროში ან ფინანსურად არ იქნება, თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, საარჩევნო სიები თავისთავად მოგვარდება. საარჩევნი სიების დადგენა და ოპტიმალურ ზღვრამდე მიყვანა აუცილებელია. მომავალ არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს, რადგან მილიონამდე ამომრჩეველი ქვეყანაში არ ცხოვრებს. ახლა გვეუბნებიან, 3 მილიონზე მეტი ამომრჩეველიაო. ამ დროს ქვეყანაში 2 მილიონზე მეტი ამომრჩეველი ნამდვილად არ არის.

***— წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანია ადამიანების დაჯერება, რომ ნამდვილად იცვლება ხელისუფლება. თუ ხალხმა დაიჯერა, რომ ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება, მთავარი საქმე გაკეთებულია.***

— ჩვენ ხალხს თავისუფალი არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ხელისუფლება აქამდე ამას არ აკეთებდა. ამის მთავარი ფაქტორი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენაა და ხალხს ხელისუფლების ცვლილების რწმენას უმტკიცებს. მოსახლეობა წინასაარჩევნო პერიოდში დარწმუნდება, რომ ის ოპოზიციური ძალა, რომელიც ახლა ყალიბდება და ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს, ქვეყნის გადამრჩენელია და არა დამღუპველი, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება.

***— თვითონ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისაგან მომავალ წელს რა ქმედებებს უნდა ველოდეთ?***

— გაგრძელდება ისე, როგორც აქამდე. ხელისუფლება კვლავ გააგრძელებს გაუთვიცნობიერებელი ხალხის დაბოლებას ტელევიზიებითა და პიარაქციებით, რომელსაც სააკაშვილი ატარებს.

***— სააკაშვილს პიარაქციების ჩატარება ეხერხება.***

— ეხერხება, მაგრამ მისი პიარაქციები სრულიად გაუცნობიერებელ, გულუბრყვილო ხალხზეა გათვლილი. ხალხი კი საკმაოდ მომწიფდა საიმისოდ, რომ კარგი და ცუდი გაარჩიოს, ამდენი ტაშ-ფანდურებისა და გასართობი ღონისძიებების ნაცვლად, მოსახლეობამ რეალური დახმარება მიიღოს. სააკაშვილი გამოდის, საავადმყოფოებს ხსნის და ამით უნდა ხალხი დაარწმუნოს, თითქოს ნელ-ნელა ყველაფერი წესრიგში დგება, მაგრამ ასეთ პიარაქციებს მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე ღიმილით ხვდება. ხალხს ამ ხელისუფლების უკვე აღარ სჯერა.

# „ხელისუფლებამ დიალოგს პარტიების შანტაჟი არჩია“

თამარ ნინიძე

„თავისუფალი დემოკრატები“ უკმაყოფილებას გამოთქვამენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებების გამო, რომელიც საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებას ეხება.

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი ჩიქოვანმა გუშინ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე 2010 წლის ნოემბერში დაწყებული მოლაპარაკებები სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავდა თვისობრივად ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავებას.

„ჩვენ გამოვთქვით მზადყოფნა, გაგვეზიარებინა პოლიტიკური პასუხისმგებლობა შეთანხმებული ცვლილებების განხორციელებასა და არჩევნების ჩატარებაზე. ხელისუფლებამ არ მოისურვა ურთიერთკომპრომისის საფუძველზე გაუმჯობესებული საარჩევნო კოდექსის შემუშავება, უარი თქვა პოლიტიკურ დიალოგზე, რასაც ულტიმატუმის, პოლიტიკური ვაჭრობის და შანტაჟის ენა არჩია“, — აცხადებს ირაკლი ჩიქოვანი.

ალასანიას პარტია მიიჩნევს, რომ საარჩევნო სისტემის შესახებ წარმოდგენილი პროექტი თვისობრივად არ განსხვავდება დღეს მოქმედი სისტემისგან, რომელიც არა ერთხელ იყო ოპოზიციის, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, ვენეციის კომისიის კრიტიკის საგანი. ეს სისტემა ვერ უზრუნველყოფს საპარლამენტო არჩევნების შედეგად პოლიტიკური სუბიექტებისთვის პარლამენტის მანდატების რაოდენობის მიღებას, მათ მიერ არჩევნებში მიღებულ ხმათა რაოდენობასთან მიახლოებული პროპორციით და საარჩევნო მანდატებს არა აქვთ თანაბარი წონა. ამ სისტემის პირობებში ერთადერთი გამოსავალი არის მაჟორიტარულ არჩევნებში 50%–იანი ბარიერის დაწესება, რაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ შესთავაზეს ხელისუფლებას.

პარლამენტში გამართულ მოსმენებზე „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დააყენეს 20–ზე მეტი ალტერნატიული წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გამოსწორებას, როგორიცაა: ამომრჩეველთა სიების ფორმირება, საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვა და ა.შ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არც ერთ მათგანს მხარი არ დაუჭირა, სანაცვლოდ, როგორც ჩიქოვანი აცხადებს, ცდილობს ცრუ პოლიტიკური კონსენსუსის იმიტაცია შექმნას იმ პარტიებთან, რომლებიც რეალურად მმართველი პარტიის განშტოებას წარმოადგენენ.

„თავისუფალი დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონში“ ინიცირებული ცვლილებები ამავე პროცესის ნაწილია, რითიც მმართველი გუნდი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სისტემის არა მოწესრიგებას, არამედ მაქსიმალურად შეზღუდვას ცდილობს. აღნიშნულ კანონზე ვენეციის კომისიის დასკვნაში ნათლად წერია, რომ თუ პოლიტიკური პარტიებისთვის იზღუდება გარკვეული დაფინანსების წყარო, აუცილებელია ეს კომპენსირდეს სხვა წყაროთი. ასეთი ალტერნატიული საშუალება „ნაციონალურ მოძრაობას“ არ შემოუთავაზებია.

ვენეციის კომისია ერთი მხრივ მიესალმება პოლიტიკური პარტიების ფინანსების ზედამხედველობის საკითხებში დამოუკიდებელი ორგანოს ჩართვას, როგორიც არის კონტროლის პალატა, მაგრამ იმავდროულად მოითხოვს, დაზუსტდეს კონტროლის პალატის უფლებამოსილებები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებში.

ირაკლი ჩიქოვანი მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებას მიესალმება, რომელიც პარლამენტმა მიიღო, რომ დეპუტატთა რაოდენობა არ გაიზარდოს. „ქვეყნის მოქალაქეთა ნების წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელია. ეს არის კარგად გადაწერილი ძველი საარჩევნო კოდექსი, ამიტომ არსებული კანონის პირობებშიც მზად ვართ ვიბრძოლოთ არჩევნებში გამარჯვებისთვის“, — აცხადებს ჩიქოვანი.

„თავისუფალი დემოკრატები“ შიშობენ, რომ კონტროლის პალატას საშუალება ექნება საკუთარი ინტერპრეტაციით შეაფასოს ფინანსების გამოყენებასთან დაკავშირებული დარღვევები და არა კონკრეტული სტანდარტებით, რომელიც მსოფლიოშია მიღებული. ალასანიას პოლიტიკური ორგანიზაცია საარჩევნოდ აპირებს მილიონი ამომრჩევლის მობილიზებას. ირაკლი ჩიქოვანი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილს აქვს რუსული ფული, პარტიის დაფინანსებაზე კი ამბობს, რომ ივანიშვილისგან, როგორც კერძო პირისგან, მათ დაფინანსება არ მიუღიათ, მიიღეს მხოლოდ იურიდიული პირებისგან.

# საახალწლო ღონისძიებები დაიწყო

ეკა ირემაშვილი

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში და მთელ საქართველოში საახალწლო ღონისძიებები დაიწყო. ყველა ქალაქის ცენტრი უკვე მორთულია საახალწლო განათებებით და დგას მთავარი ნაძვის ხე. ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე, რომელიც რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ განთავსდა, თოვლის ბაბუამ აანთო. დედაქალაქის 25 მეტრიანი მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ განათდა. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას ბავშვები და მათ მშობლები ესწრებოდნენ. თოვლის ბაბუამ სპეციალურად ნაძვის ხის სანახავად შეკრებილ პატარებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა. მთავარი ნაძვის ხის საზეიმოდ განათების შემდეგ თოვლის ბაბუამ და სანტა კლაუსმა მთაწმინდის პარკში გადაინაცვლეს, სადაც ერთ-ერთ კოშკში დაბინავდებიან და პატარებს საჩუქრების დასარიგებლად დაელოდებიან. მთაწმინდის პარკში უკვე ჩატარდა საგანგებო კონცერტი, რომელიც სანტა კლაუსისა და თოვლის ბაბუას მარხილით სტუმრობას დაემთხვა. საგანგებო ღონისძიებაში ანიმაციური ფილმებისა და ზღაპრის გმირები იყვნენ ჩართული. სანტა კლაუსი და თოვლის პაპა მთაწმინდის პარკის კოშკში ძველით ახალ წლამდე დარჩებიან, პატარებს უმასპინძლებენ და საახალწლო საჩუქრებს დაურიგებენ.

თბილისში კი საახალწლო სოფლები გაიხსნა. დედაქალაქის რამდენიმე ცენტრალურ უბანში მოსახლეობას უკვე შეუძლია სადღესასწაულო აქსესუარები და სუვენირები სპეციალურად გახსნილ სოფლებში შეიძინოს. 7 იანვრის ჩათვლით ობიექტების მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველდღიურად კონცერტები გაიმართება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რეაბილიტირებული ხელოვნების სასახლე გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი ორწლიანი რეაბილიტაციის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა. უნიკალური შენობის საზეიმო გახსნის პატივი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ნიკოლოზ რურუას და მუზეუმის ხელმძღვანელს გიორგი კალანდიას ერგო. როგორც მუზეუმში შეკრებილი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ორწლიანი მუშაობის შედეგად დასრულებულია რეაბილიტაციის მხოლოდ პირველი ეტაპი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს წინ აქვს კიდევ საკმაოდ ხანგრძლივი რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რომელიც უკვე საგამოფენო სივრცეების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

**გიორგი კალანდია, მუზეუმის ხელმძღვანელი:**

– ქართული თეატრი, კინო, მუსიკა და ქორეოგრაფია ის მდიდარი ტრადიციაა, რომლის გარეშეც ქართული კულტურა წარმოუდგენელი იქნებოდა. ჩვენი მუზეუმი ამ უნიკალურ საგანძურს შეიცავს, რისთვისაც რამდენიმე თაობის თავდაუზოგავი შრომა, შემოქმედებითი ნიჭი და თავგანწირვა გახდა საჭირო. მუზეუმის ისტორია იმ სასახლის აგებიდან იწყება, სადაც სიძველეთსაცავია განთავსებული. დიდებულ ქონგურებს, ღია ვერანდას, მოხატულ დარბაზებსა და მაღალ კოშკს განუმეორებელ ელფერს სძენს სიყვარულის ის ლამაზი ისტორია, რომელიც ნაგებობის მშენებლობასთანაა დაკავშირებული.

***– რა სახის ექსპონატები ინახება ხელოვნების სასახლეში?***

– განუმეორებელი და უნიკალურია ყველა ის ექსპონატი, რომელიც ამ დარბაზებში ინახება. ვინაიდან ჩვენი მუზეუმი კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ხელოვნებას აერთიანებს, ამიტომ ჩვენი ექსპონატებიც მრავალფეროვანია. ანტიკური თეატრალური ნიღბიდან დაწყებული, ფრედერიკო ფელინის ხელნაწერებით დამთავრებული, ყველაფერი ჩვენი ერის დიად შემოქმედებით წარმატებებზე მიუთითებს. აქ შემოსული დამთვალიერებელი ცხადად შეიგრძნობს უბრწყინვალესი კომპოზიტორების მუსიკალურ მუზას, მის თვალწინ გაცოცხლდება სცენის დიდოსტატთა მიღწევები, ქართული როკვის გენია და კინოფირზე სამარადჟამოდ აღბეჭდილი წამის სიდიადე. ეს ის მუზეუმია, სადაც წარსული თანამედროვეობაში აღიბეჭდა და დღევანდელობა ისტორიით საზრდოობს.

***– რა სამუშაოები ჩაუტარდა ხელოვნების სასახლეს პირველ ეტაპზე?***

– ხელოვნების სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი XIX საუკუნეში აგებული სასახლის შენობის სრულ რეკონსტრუქციასა და ისტორიული სახის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. სარესტავრაციო სამუშაოების პარალელურად 2009 წელს დაიწყო სასახლეში განთავსებული მუზეუმის რეაბილიტაცია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით გარემონტდა ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუზეუმის სააფიშო ფონდს, მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდს, გარემონტდა და პირველად გაიხსნა მუზეუმის მცირე საგამოფენო დარბაზი, დაარსდა სარესტავრაციო განყოფილება, გარემონტდა მუზეუმის ბიბლიოთეკა, პირველად გაიხსნა სამკითხველო დარბაზი და რარიტეტულ გამოცემათა კაბინეტი. ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწობით კი გამოიცვალა XIX საუკუნის სასახლის ავარიულ მდომარეობაში მყოფი საძირკველი, მთლიანად გამოიცვალა სასახლის სახურავი, სასახლის ისტორიულ ფლიგელში მთლიანად გამაგრდა კედლები, სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად აღსდგა სასახლის შიდა ეზოს ისტორიული იერსახე, სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს რესტავრატორებმა მთლიანად აღადგინეს შენობის უნიკალური გოთური ორნამენტები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადარჩა ამ უნიკალური შენობის ისტორიული სახე და ამ მუზეუმის საფონდო მხარემ დაიწყო აქტიური მუშაობა. ორწლიანი მუშაობის შედეგად დასრულდა პირველი ეტაპი რეაბილიტაციისა. მალე დაიწყება მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც აღდგება საგამოფენო დარბაზები. რესტავრატორები ნელა და ხარისხიანად იმუშავებენ. მინდა ვახარო ქართველ საზოგადოებას, რომ სულ მალე თბილისის ცენტრში გვექნება უნიკალური კულტურის ცენტრი.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

– ხელოვნების სასახლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის ორწლიანი მუშაობა დასრულებულია. ამ მუზეუმში არის კვლევისთვის სრულიად უნიკალური არქივი. ჩვენი თეატრის ისტორიის, ჩვენი მუსიკის ისტორიის, ჩვენი კინოს ისტორიის, ჩვენი ქორეოგრაფიის სიტორიის უნიკალური არქივები სწორედ ხელოვნების სასახლეშია თავმოყრილი. აქ არის პირადი მიმოწერა ჩვენი გენიოსებისა, საინტერესო კოსტიუმებია წარმოდგენილი. ეს არის ერთი დიდი საცავი ქართული კულტურის, რომელიც რაც შეიძლება ბევრმა ახალგაზრდამ, ჩვენი ქვეყნის ბევრმა სტუმარმა უნდა ნახოს, რადგან აქ მთელი ქართული სახელოვნებო დარგების უნიკალურობაა გაცოცხლებული.



# ფოლკლორის ცენტრში საშობაო გამოფენა გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში ხალხური ოსტატების ბესიკ ჭითანავასა და მიხეილ მჭედლიშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელიც შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ეძღვნება. ექსპოზიციაზე ორივე ოსტატის მიერ რელიგიურ თემებზე შესრულებული ნაქარგობა გამოიფინა. მთლიანობაში დამთვალიერებელს შეუძლია 80-მდე ექსპონატს გაეცნოს.

– ბესიკ ჭითანავა, პროფესიით ეკონომისტია, იგი ორ ათეულ წელზე მეტია მუშაობს გამოყენებითი ხელოვნების ამ ჟანრში. მოქარგული აქვს გარდამოხსნები, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, შობის კომპოზიცია, წმიდა გიორგი, წმიდა დავით აღმაშენებელი, წმიდა ნიკოლოზი, წმიდა ნინო, იოანე ნათლისმცემელი. მისი ნამუშევრები რამდენჯერმე ექსპონირებული იყო საფრანგეთში, ინგლისსა და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოში. რაც შეეხება მიხეილ მჭედლიშვილს, იგი დიდი ხანია მუშაობს რელიგიურ თემაზე. დაწერილი (მოქარგული) აქვს მრავალი ხატი, მათ შორის, ივერიის ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, ნეტარი ქსენია პეტერბურგელის, ასევე XX საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეების, ბეთანიელი მამების – არქიმანდრიტების იოანესა და გიორგის, გაბრიელ ბულესკირიას (მოღვაწეობდა ილორის ტაძარში წმიდა ალექსი შუშანიასთან ერთად), მამა პარფენი აფციაურის. მიხეილ მჭედლიშვილს პერსონალური გამოფენები ჰქონდა თბილისსა და მოსკოვში. ორივე ხალხური ოსტატი მასალად იყენებს ტილოს, აბრეშუმს, მულინის და აბრეშუმის ძაფებს, – ნათქვამია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ფოკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზმა უმასპინძლა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მხატვრის ეთერ თედიაშვილის ნამუშევრების გამოფენას, რომელიც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით შედგა. გამოფენას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაია ესწრებოდა.

– ეთერ თედიაშვილის ნამუშევრები შესრულებულია მინაზე და მის მიერ გამოყენებული ტექნიკა უნიკალურია მინის ტრადიციული მოხატვისგან განსხვავებით, ნახატის შესაქმნელად მხატვარი იყენებს თხევად მინას, როგორც საღებავს, რომელიც შემდეგ ზედაპირზე ირჩილება. ეთერ თედიაშვილის მიერ გერმანული ფირმისათვის ლას-უენზელ შექმნილი დიზაინური ნიმუშები სხვადასხვა დროს გამოიფინა ნიურნბერგისა და დიუსელდორფის მსოფლიო ინტერნაციონალურ გამოფენაზე. მხატვრის პერსონალური გამოფენები გაიმართა გერმანიის ქალაქებში – ბად ვინდსჰაიმი, ვენდელშტაინი, ფიურტი, ნიურნბერგი, ერფურტი, მიულბერგი. სამომავლოდ გამოფენები დაგეგმილია ბერლინში, შტუტგარტსა და ბონში. საქართველოში ეთერ თედიაშვილის პერსონალური გამოფენები გასულ წლებშიც მოეწყო, – განაცხადა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზმა სეზონი ცისანა და ნუნუ მარინდაშვილების ნამუშევრების გამოფენით გახსნა. დამთვალიერებელმა იხილა სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ 120-მდე ნამუშევარი – ბატიკა, თექა, გობელენი, ფერწერა, ქარგულობა.

– ცისანა მარინდაშვილი პროფესიონალი მხატვარია, ის 18 წლის განმავლობაში ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ნამუშევრები ექსპონირებული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში – პოლონეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, გერმანიაში, ავსტრიაში. მისი ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში და კერძო კოლექციებში – საქართველოს კულტურის სამინისტროს ფონდებში, სირიის საელჩო, დამასკო, ინსბრუკის რატუშაში, თურქეთში (დემირელის სასახლე), ამერიკის, გერმანიასა და პეტერბურგის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში. ცისანა მარინდაშვილი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელია. გამოფენა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს დაუკავშირდა. მისი და, ქალბატონი ნუნუ მარინდაშვილი, პროფესიით ფიზიკოსი თვითნასწავლი მხატვარია. მისი ნამუშევრები ძირითადად შექმნილია სხვადასხვა სისქის და ტონალობის მულინის, აბრეშუმისა და შალის ძაფებით. თითოეულ ნამუშევარში გამოყენებულია 200-მდე ფერისა და ტონის ძაფი, სწორედ ფერთა ასეთი სიმრავლე იძლევა ფერწერული ეფექტის მიღების საშუალებას. ნუნუ მარინდაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული როგორც საქართველოს, ასევე მის ფარგლებს გარეთ მოწყობილ სხვადასხვა სახის გამოფენებში, – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის ოფიციალურ საიტზე.

სხვადასხვა მხატვრის გამოფენების ჩატარების გარდა, ფოლკლორის ცენტრმა ცნობილ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს, საქართველოს სახალხო არტისტის რომან (რუბენ) ჭოხონელიძეს მემორიალური დაფა გაუხსნა. ღონისძიების ინიციატორები საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი იყვნენ. ღონისძიება მიეძღვნა რომან ჭოხონელიძის დაბადებიდან 90 წლისთავს. მემორიალურ დაფას გახსნეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა და ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ რეზო ჭანიშვილმა. გახსნას ცნობილი ქორეოგრაფები და ქორეოლოგები, რომან ჭოხონელიძის აღზრდილები, ახლობლები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

● გთავაზობთ გარჩეულ მზესუმზირას საუკეთესო გოზინაყის დასამზადებლად. ნახევარკილოიანი პაკეტის ფასი 5 ლარი. ტელ.: 599 615 558.

## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საფეხბურთო რვიანის მოსალოდნელი ცვლილებები

როგორც ადრე გითხარით, საქართველოს ჩემპიონატში ზამთრის პაუზაა. სეზონი თებერვალში განახლდება, მანამდე გუნდები სატრანსფერო ფანჯარას გამოიყენებენ და გაძლიერებას შეეცდებიან. რვიანში ფეხბურთელების დამატებაზე კი ყველა გუნდი ოცნებობს.

რაც შეეხება ტურნირის სისტემას: შეგახსენებთ, რომ 2 წრედ ჩატარებული მატჩების შემდეგ, ზედა 8 გუნდი უკვე ცალკე გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის. გუნდებს ქულები ერთმანეთში 2 წრედ ჩატარებული მატჩების მიხედვით გადაჰყვებათ, ხოლო ქვედა ოთხეული, პირველი ლიგის დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონების საუკეთესო 2-2 გუნდთან ერთად უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:15 | 39 |
| 2.ტორპედო | 18 | 12 | 2 | 4 | 26:13 | 38 |
| 3.დინამო | 18 | 10 | 3 | 5 | 34:22 | 33 |
| 4.მეტალურგი | 18 | 8 | 6 | 4 | 21:18 | 30 |
| 5.მერანი | 18 | 9 | 2 | 6 | 22:19 | 29 |
| 6.ბაია | 18 | 7 | 3 | 8 | 19:20 | 24 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 186 | | 5 | 7 | 21:22 | 23 |
| 8.გაგრა | 18 | 6 | 3 | 9 | 18:23 | 21 |
| 9.სპარტაკი | 18 | 5 | 4 | 9 | 16:25 | 19 |
| 10.დილა | 18 | 5 | 3 | 10 | 23:25 | 18 |
| 11.კოლხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 15:24 | 18 |
| 12.სიონი | 18 | 1 | 4 | 13 | 11:35 | 7 |

ზედა 8 გუნდში მოხვედრის შანსი დაკარგა ბოლნისის „სიონმა“, ხოლო სხვა ყველა გუნდს ჯერ კიდევ აქვთ შანსი მედლებისთვის ბრძოლა განაგრძონ. თუ სადღეისო მონაცემებს გავითვალისწინებთ, ზედა რვა გუნდის ერთმანეთში ნათამაშები მატჩების შედეგების შემდეგ რადიკალურად იცვლება სიტუაცია, ადგილები და ქულების რაოდენობა მედლებისთვის ბრძოლაში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 11 | 8 | 2 | 1 | 24:8 | 26 |
| 2.მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 14:12 | 21 |
| 3.ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 12:10 | 20 |
| 4.მერანი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:15 | 16 |
| 5.დინამო | 11 | 4 | 2 | 5 | 19:19 | 14 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 123 | | 3 | 6 | 8:13 | 12 |
| 7.ბაია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| 8.გაგრა | 11 | 3 | 1 | 7 | 8:15 | 10 |

ამ ცხრილში თითქმის არაფერი შეიცვლება, თუ მერვე ადგილზე მყოფ „გაგრას“ მეცხრეადგილოსანი ცხინვალის „სპარტაკი“ ჩაანაცვლებს, ხოლო თუ 8 გუნდში გორის „დილა“ ან ფოთის „კოლხეთი“ მოხვდება, მაშინ სიტუაცია კიდევ უფრო შეიცვლება, რადგან ორივე გუნდს ქულები აქვს წართმეული „ზესტაფონისთვის“ და ხოლო ფოთელებს „დინამოსთანაც“ უთამაშიათ ფრედ.

მოკლედ, ახლა ჯერ კიდევ ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ ვინ მოხვდება საუკეთესო 8 გუნდში, უმჯობესი იქნება იმაზე თუ ვისაუბრებთ, რა ცვლილებები მოხდა აქამდე გუნდებში და როგორ და სად მოემზადებიან სეზონის გაგრძელებამდე.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონში“ სიახლე ის არის, რასაც მანამდე ვწერდით – მარგველთა შემადგენლობას 19 წლის აბაიომი ოვონიკოკო შეუერთდა. ახალგაზრდა ნიგერიელი თავდამსხმელი, რომელიც დღემდე საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“ ასპარეზობდა, იმერული კლუბის ღირსებას მომდევნო 3 წლის განმავლობაში დაიცავს.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე, 2009-2011 წლებში ფეხბურთელი წარმატებით ასპარეზობდა თავის პირველ პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“, რომელშიც 50-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და საფეხბურთო საზოგადოებას თავი როგორც ძალიან იმედისმომცემმა ფორვარდმა დაამახსოვრა.

კიდევ ერთი სიახლე ზესტაფონელთა ბანაკიდან ის არის, რომ – კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა და ბომბარდირმა ჯაბა დვალმა, რომელიც მარგველთა ღირსებას 2015 წლის 1 იანვრამდე დაიცავს.



ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში ჯაბამ მარგველთა მაისურით 83-ჯერ ითამაშა და 33 გოლიც გაიტანა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ სწორედ დვალი არის ზესტაფონელთა საუკეთესო ბომბარდირი უეფას საკლუბო ტურნირებში – უეფას ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის 14 შეხვედრაში მან მეტოქეთა კარის აღება 11-ჯერ მოახერხა.

„ზესტაფონის“ ფეხბურთელებს საახალწლო არდადეგები 8 იანვარს უმთავრდებათ, რის შემდეგაც შეკრების პირველ ეტაპზე გუნდის სამწვრთნელო შტაბი აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთებს. გამორიცხული არ არის, უამინდობის შემთხვევაში „ზესტაფონმა“ ესპანეთამდე ხანმოკლე შეკრება თურქეთში გაიაროს.

„ზესტაფონი“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებელ შეკრებას ტრადიციულ ადგილზე, ცნობილ ესპანურ კურორტ მარბელაზე გაივლის. ისევე, როგორც შარშან, საქართველოს ჩემპიონები თებერვალშიც იასპარეზებენ „მარბელას თასზე“.

ტურნირის წილისყრა ჯერ არ გამართულა. სამაგიეროდ, გაირკვა მისი ჩატარების ვადები და მონაწილე კლუბები. შეჯიბრების ორგანიზატორებმა სათამაშო დღეებად 3, 6 და 9 თებერვალი დაადგინეს, მონაწილე კი კვლავინდებურად რვაა:

„ზესტაფონი“ (ზესტაფონი, საქართველო); „დინამო“ (კიევი, უკრაინა); ცსკა (მოსკოვი, რუსეთი); „რუბინი“ (ყაზანი, რუსეთი); „კრილია სოვეტოვი“ (სამარა, რუსეთი); „რაპიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი); „ლეხი“ (პოზნანი, პოლონეთი); „გუანჯოუ“ (გუანჯოუ, ჩინეთი).

„მარბელას თასი“ კვლავ ოლიმპიური სისტემით ჩატარდება და ყველა გუნდს სამი მატჩის გამართვა მოუწევს. მეოთხედფინალებში გამარჯვებულები ბრძოლას ჩემპიონობისთვის განაგრძობენ, დანარჩენები კი V-VIII ადგილებს გაითამაშებენ.

შეგახსენებთ, „ზესტაფონმა“ შარშან „მარბელას თასზე“ მე-7 ადგილი დაიკავა. გია გეგუჩაძის გუნდი მეოთხედფინალში პრაღის „სპარტასთან“ 0:5 განადგურდა, შემდეგ კიევის „დინამოსთან“ მხოლოდ პენალტების სერიით დამარცხდა, მე-7 ადგილისთვის მატჩში კი პლოვდივის „ლოკომოტივს“ დამაჯერებლად, 3:0 სძლია.

ესპანეთში „ზესტაფონი“ სხვა საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებს. იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებსაც ფეროელთა ამჟამინდელი თავკაცი გიორგი ჭიაბრიშვილი უცხოურ შეკრებაზე წაიყვანს, რამდენიმე დღეში გაირკვევა. ბუნებრივია, ესპანეთში იმერელთა ყველა ახალწვეული გაემგზავრება, რომელთა გარდა გუნდს მძიმე ტრავმების შემდეგ დაბრუნებულები, გიორგი ხიდეშელი და ზურაბ მენთეშაშვილიც შეუერთდებიან.

ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიმატა ქუთაისის „ტორპედომ“. რიონისპირულ გუნდში კარიერას ზუგდიდის „ბაიას“ 20 წლის მცველი დათა რიგვავა გააგრძელებს. რიგვავა ზუგდიდელთა დაცვის ერთ-ერთი ლიდერი იყო და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, თავი სტაბილური თამაშით დაგვამახსოვრა.

გიორგი ლემონჯავამ საფეხბურთო კარიერა ფოთის „კოლხეთში“ გაატარა, სულ კი ზღვისპირელთა რიგებში მან 15 ოფიციალური მატჩი ჩაატარა. 21 წლის მცველმა „ტორპედოსთან“ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გამორიცხული არ არის, „ბაიადან“ „ტორპედოში“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდეს. ქუთაისელებმა ზუგდიდელებს 28 წლის ნახევარმცველის, ლევან წურწუმიას შეძენის სურვილით მიმართეს და უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა გამოვა ამ მოლაპარაკებიდან.

უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ქუთაისის „ტორპედოს“ დატოვებენ.

აქვე გეტყვით, რომ „ტორპედო“ შესვენების შემდეგ ახალი წლის 4 იანვარს თბილისში შეიკრიბება, სადაც სამედიცინო შემოწმების გავლასთან ერთად პარალელურად საბურთალოს სკოლის მოედანზე მოემზადება.

მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენა მარტვილის „მერანი“ კი ერთბაშად 5-მა ფეხბურთელმა – შალიკაშვილმა, ჭაფოძემ, ქამუშაძემ, სამადაშვილმა და კოტ დივუარელმა ჯოელმა. რაც შეეხება შევსებას, ამ მხრივ გუნდში მხოლოდ დავით მამედოვი, 22 წლის ტექნიკური ნახევარმცველი ისინჯება.

„მერანს“ პირველი შეკრება 8-14 იანვარს მარტვილში ექნება, ხოლო 16-26 იანვარს ურეკში გადაინაცვლებს, შემდეგ კი არაფერია გადაწყვეტილი.

„ვიტ ჯორჯია“ დატოვა ორმა ფეხბურთელმა – გიორგი ხუმარაშვილმა და ირაკლი სიხარულიძემ. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ დიდი დანაკლისი განიცადა – ეს ფეხბურთელები შემადგენლობაში ვერ ხვდებოდნენ.

შევსებას აპირებს რუსთავის „მეტალურგიც“. როგორც გუნდში ამბობენ, მათ ამის სურვილიც აქვთ და ფინანსებიც. ერთადერთი, ჯერ რაც შეგვიძლია ვთქვათ, ის არის, მოლაპარაკებები მიდის ზაქარია ბეგლარიშვილთან, რომელიც ტალინის „ფლორას“ ღირსებას იცავს.

# იტალიური ამბები

„ნაპოლის“ მიზანი მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ღირსეული თამაში და მეორე მხრივ, სერია ა-ს სამეულში მოხვედრაა, რათა მომდევნო სეზონშიც გუნდმა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე იასპარეზოს. საამისოდ, გუნდი ზამთარში გაძლიერებას გეგმავს.

კლუბმა უკვე მოახერხა ედუარდო ვარგასის გადაბირება და მარტო ამით არ კმაყოფილდა – ნეაპოლიტანური გუნდის თვალთახედვის არეში ორი ჩეხი ფეხბურთელი, მიხალ კადლეცი და ტომაშ სივოკი მოექცა.

კადლეცი 26 წლის გახლავთ, მარცხენა მცველია და ლევერკუზენის „ბაიერის“ ღირსებას იცავს, ხოლო სივოკი კი 28 წლისაა, საყრდენი ნახევარმცველია და თურქულ „ბეშიქთაშში“ თამაშობს.

– ედუარდო ვარგასის სახით, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი გადავიბირეთ და დარწმუნებული ვარ, იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაცია არ გაუჭირდება. თუმცა, გაჩერებას არ ვაპირებთ და გვსურს, რომ კიდევ რამდენიმე მოთამაშე გადავიბიროთ. კონკრეტული გვარების დასახელებას დღეს არ ვაპირებ, მაგრამ ერთს კი გეტყვით: თავდასხმა სრულად დაკომპლექტებულია. ჩვენი მიზანი დაცვის და ნახევარდაცვის გაძლიერებაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ, – აცხადებს კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი.

„ნაპოლი“ წელს არა მარტო საკუთარ საქმეებს აგვარებს, არამედ მეტოქეებსაც „ეხმარება“. სწორედ ნეაპოლელებთან 1:6 წაგებული მატჩის შემდეგ, „ჯენოას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ალბერტო მალეზანი გაათავისუფლეს და მისი ადგილი კი 49 წლის სპეციალისტმა პასკუალე მარინომ დაიკავა. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მარინომ მალეზანი შეცვალა – იგივე მოხდა „უდინეზეშიც“.

– სიმართლე გითხრათ, ძალიან გახარებული ვარ, რომ ასეთი ამბიციური გუნდის გაწვრთნის საშუალება მომეცა. ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს, 1982 წელს შემეძლო ამ გუნდში გადასვლა, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა. მიმდინარე სეზონში, „ჯენოას“ რამდენიმე მატჩს ვადევნე თვალი და უკვე ვიცი, რასთან მომიწევს შეჭიდება. უკვე მაქვს ფირები, სადაც გუნდის ყველა მატჩია ჩაწერილი და ერთი სული მაქვს, როდის ჩავუჯდები. ბოლოს, როდესაც ალბერტო მალეზანი შევცვალე, კრიზისში მყოფი „უდინეზე“ ჩავიბარე და გუნდს ევროსაგზური მოვაპოვებინე – იმედი მაქვს, „ჯენოაშიც“ არანაკლებ წარმატებულად ვიმუშავებ. რა ტაქტიკას გამოვიყენებ? – ჩემი საბაზო სქემა ყოველთვის 4-3-3 იყო და ტრადიციას არც გენუაში ვუღალატებ. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, ჯანდომენიკო მესტოსთან და ლუკა ანტონელისთან ადრეც მიმუშავია და მათ კარგად ვიცნობ; მომწონს როდრიგო პალასიოს თამაშის მანერა, ხორკერა კი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია, ვინც კი ოდესმე გამიწვრთნია. ვფიქრობ, მას შეუძლია იგივე გახდეს „ჯენოასთვის“, რაც მაგალითად, სებასტიან ჯოვინკოა „პარმასთვის“. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, – იმედიანად არის განწყობილი კახა კალაძის ახალი მწვრთნელი.

მიმდინარე სეზონში მილანის „ინტერი“ ისე ვერ გამოიყურება, როგორც სპეციალისტები დასაწყისში ვარაუდობდნენ და აღარც საჩემპიონო ბრძოლის ფავორიტად მიიჩნევიან. ახლა იტალიურ პრესაში უფრო იმას ვარაუდობენ, რომ გუნდი ამ ზამთარს ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება, მაგრამ ასე არ ფიქრობს კლუბის გენერალური მენეჯერი ერნესტო პაოლილო, რომელმაც გულშემატკივრებს ცივი შხაპი გადაასხა.

– სულ მალე, მიშელ პლატინის მიერ შემუშავებული ფინანსური ფეარ პლეის პრინციპი ამოქმედდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფულის ძველებურად ხარჯვის საშუალება აღარ მოგვეცემა. ამიტომ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გაძლიერებას ნამდვილად არ ვფიქრობთ და გვსურს, არსებული რესურსით გავიდეთ ფონს. გუნდის მიზანი სამეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გახლავთ, ეს კი ამ შემადგენლობით ნამდვილად ხელგვეწიფება. იმედია, ქომაგები სწორად გაიგებენ ჩემს ნათქვამს – დღეს, უფრო მეტად გვიწევს ფინანსურ ბალანსზე ფიქრი, ვიდრე წინა წლებში, – აღნიშნა პაოლილომ.

ამის მიუხედავად, „ინტერის“ მოსიხლე მტრის, „მილანის“ 34 წლის საყრდენი ნახევარმცველის მარკ ვან ბომელის იტალიის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში სკუდეტოს პრეტენდენტები დაასახელა და უპირატესობა ტურინის „იუვენტუსს“ მიანიჭა, მაგრამ არც „ინტერი“ გამორჩენია, რომელსაც მკვდრეთით აღმდგარი უწოდა.

– „იუვენტუსს“ „მილანთან“ შედარებით უზარმაზარი უპირატესობა აქვს – ტურინელები ევროთასებზე არ თამაშობენ, ამიტომ შეუძლიათ უფრო მეტ ხანს დაისვენონ, წვრილმანი პრობლემები მოიშორონ და მატჩებს ფორმაში მყოფნი შეხვდნენ. არ უნდა დავივიწყოთ საჩემპიონო ტიტულის სხვა პრეტენდენტებიც – „უდინეზე“, „ლაციო“, მკვდრეთით აღმდგარი „ინტერი“, „რომა“ და „ნაპოლი“, – აღნიშნა ჰოლანდიელმა.

ცოტა ხნის წინ „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ დიდია შანსი სეზონის ბოლოს გუნდი დავტოვო და კარიერა რომელიმე სხვა გუნდში გავაგრძელოო, რამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია – „პუპონე“ ხომ კლუბის ლეგენდად ითვლება და ერთგულებას ეფიცებოდა.

თუმცა, ჩესკომ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა:

– ბოლო ორმა გამარჯვებამ დაგვანახა, რომ სწორ გზას ვადგავართ და ასევე უნდა გავაგრძელოთ. შესანიშნავი მატჩები იყო, რომლებშიც მეტოქეებს აშკარად ვაჯობეთ და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩავიწერეთ აქტივში. გადავიფიქრე თუ არა „რომადან“ წასვლა? – ჩემი ინიციატივით „ჯალოროსის“ არასდროს დავტოვებ, ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს და იმედი მაქვს, რომ კიდევ ბევრჯერ ვიტყვი. ბოლო პერიოდში, გუნდის სამწვრთნელო შტაბისგან დიდ ნდობას ვგრძნობ, რაც ძალიან მახარებს და ოპტიმიზმს მიღრმავებს. ასე რომ, არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. პრემიერლიგა? – შესანიშნავი ჩემპიონატია და სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ასეთივე წარმატებით შემიძლია ვთქვა, რომ ვიქნებოდი, მაგალითად, ჟოზე მოურინიოს შეგირდი, რომელზეც უამრავი კარგი რამ მსმენია, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ჩემი ნებით „რომადან“ წასვლას არ ვაპირებ, – ყველაფერს წერტილი დაუსვა ფეხბურთელმა.

# ქორქია-საკანდელიძის ტურნირზე 4 გუნდი არ ითამაშებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გაში გამომსვლელი 11-ვე გუნდი. პირველი წრის სატურნირო მდგომარეობის მიხედვით პირველი 7 გუნდი (არმია, ქუთაისი, ოლიმპი, სოხუმი, შსს, სტუ, დინამო) პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაებმევა გათამაშებაში, 8-11 ადგილზე მყოფი გუნდები კი (თსუ, თსსუ, ბათუმი, რუსთავი) მეოთხედფინალის ერთ საგზურს გაითამაშებენ. თასის საწყისი თამაშები აკადემიის დარბაზში შედგება, ნახევარფინალებს და ფინალს კი სპორტის სასახლე უმასპინძლებს. ფინალური მატჩი 30 იანვარს ჩატარდება.

გიორგი ზაბახიძე, სუპერლიგის დირექტორი:

– სუპერლიგის პირველი წრე დასრულდა და ახლა გუნდებს საკანდელიძე-ქორქიას და საქართველოს თასის გათამაშებაში გამოსვლა მოუწევთ. ამ შეჯიბრებების დასრულების შემდეგ კი მალევე ჩემპიონატიც განახლდება და იმედი მაქვს, რომ გულშემატკივარი კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბულ თამაშებს იხილავს, როგორც მე ვიცი, რამდენიმე გუნდი ლეგიონერებით გაძლირებას აპირებს, ასე რომ, ქართველი ქომაგი ნამდვილად არ მოიწყენს.

საბოლოოდ ჯგუფები ასე შეივსო:

ა ჯგუფი: არმია; სტუ; დინამო;
ბ ჯგუფი: სოხუმი; შსს; თსუ; რუსთავი.

# დონის სარკეში ჩახედვა არ უნდა

როგორც უკვე ცნობილია, იტალიაში საფეხბურთო სკანდალი ისევ აგორდა და 17 ფეხბურთელი იქნა დაკავებული. მათ შორის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და ბერგამოს „ატალანტას“ თავდამსხმელი კრისტიანო დონიც. ფეხბურთელმა თავად აღიარა, რომ გარიგებულ მატჩებში იღებდა მონაწილეობას.

– რამდენიმე შეხვედრის წინასწარ განსაზღვრაზე მართლაც მქონდა შემოთავაზება და ვაღიარებ, რომ ხელი მოვაწერე. ერთ-ერთი ასეთი მატჩი გახლდათ „ატალანტა“-„პიაჩენცა“, საიდანაც გაჩნდა კიდეც ეჭვები და შემდეგ სკანდალი აგორდა. აქვე, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ არავითარი დაჯგუფების წევრი არ ვარ – უბრალოდ მივიღე რამდენიმე შეთავაზება და დავთანხმდი, რადგან ამით ისევ ჩემს გუნდს ვეხმარებოდი. დიახ, ყველა იმ მატჩის შედეგის განსაზღვრაზე, რომელზეც მე ხელი მოვაწერე, „ატალანტას“ გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგებაში მონაწილეობას არ მივიღებდი. აუცილებლად უნდა დავაზუსტო, რომ ჩემი ხელმოწერა სულაც არ იყო გარანტი იმისა, რომ ესა თუ ის შეხვედრა აუცილებლად დაგეგმილი შედეგით დასრულდებოდა. იყვნენ თუ არა „ატალანტას“ სხვა მოთამაშეები საქმის კურსში, ჩემთვის უცნობია, რადგან მე მხოლოდ მეტოქე გუნდის ფეხბურთელებთან მქონდა კავშირი. ვიცოდი ვის, სად და როგორ უნდა დაეშვა შეცდომა, რომ შემდეგ მე ამით მესარგებლა. ამიტომ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კლუბი „ატალანტა“ და გუნდის სხვა ფეხბურთელები ამ ყველაფერში გარეულნი არ არიან. გადაწყვეტილებებს ვიღებდი მე და ინდივიდუალურად ვპოულობდი. ყოველ შემთხვევაში, გარიგებულ მატჩებში სხვათა ჩართულობის შესახებ არაფერი მსმენია. მართალია, ჩემი გუნდის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არასდროს მიმიღია, მაგრამ ეს ნამდვილად არ ამართლებს იმას, რაც ჩავიდინე. სარკეში რომ ვიხედები, საკუთარი თავი მეზიზღება და არც კი ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო ციხიდან გარეთ გამოსულმა. ალბათ ყველას დავემალები, რადგან მრცხვენია როგორც ჩემი ახლობლების, ისე უბრალო გულშემატკივრების, რომლებიც მუდამ გვერდში მედგნენ, – აღიარა დონიმ.

როგორც იცით, კრისტიანო ციხეში გახლდათ და განაჩენს ელოდებოდა – აღიარებითი ჩვენების შემდეგ ის გაათავისუფლეს და სახლში გაუშვეს. თუმცა, სასამართლო გრძელდება და დონის გარკვეული პერიოდით შინაპატიმრობაში მოუწევს ყოფნა.

# შედეგები

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ნიუ იორკი-ბოსტონი ........... 106:104
დალასი-მაიამი ..................... 94:105
ლეიკერსი-ჩიკაგო .................. 87:88
ოკლაჰომა-ორლანდო ............ 97:89
გოლდენ სტეიტი-კლიპერსი 86:105

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კახი კავსაძე ბრენდ-პერსონაა

ეკა ირემაშვილი

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ქართული ბრენდის დღე აღინიშნა, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებით უკვე მეცხრედ ჩატარდა. ღონისძიებაზე სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული წარმატებული კომპანიები დასახელდნენ და სამახსოვრო საჩუქრებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.



სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებით გამოვლინდა გამარჯვებულები ნომინაციებში „ლიდერი კომპანია“, „ახალი ქართული ბრენდი“, „რეპუტაცია და ნდობა“, „ბრენდ პერსონა“, „ისტორიული ბრენდი“.

რუსთაველის თეატრის მსახიობმა და ყველასთვის საყვარელმა ხელოვანმა კახი კავსაძემ ნომინაციაში „ბრენდ-პერსონა“ გაიმარჯვა და თავის ჯილდოებს კიედვ ერთი საპატიო პრიზი მიუმატა.

პროექტი ,,ქართული ბრენდის დღე“ დაპატენტებულია და საავტორო უფლება ეკუთვნის საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო ,,პროფილს“. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ დამფუძნებლების მრავალწლიანი ჟურნალისტური გამოცდილების შედეგია ,,პროფილის“ წარმატებები და ,,ქართული ბრენდის დღის“ ყოველწლიური განვითარება.

– „ქართული ბრენდის დღე“ ერთ-ერთი წარმატებული და გახმაურებული პროექტია, რასაც ადასტურებს მონაწილე კომპანიების, პარტნიორების, საინფორმაციო მხარდამჭერებისა და საზოგადოების ინტერესი. ,,ქართული ბრენდის დღე“ ეროვნულ დღესასწაულად იქცა, წელს პომპეზური დაჯილდოების ცერემონიალი მეცხრედ ჩატარდა და ქართული ბრენდის დღეზე ჯილდო 36-მდე ნომინანტმა მიიღო. პროექტმა თავისი არსებობის განმავლობაში მრავალი წარმატებული ქართული ბრენდის გამოვლენა შეძლო და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ბიზნესის განვითარებაში, ცალკეული კომპანიებისა და ქართული ბრენდების პოპულარიზაციაში. პროექტის მიზანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირებაა. პროექტის ამოცანაა ასევე ქართულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა, კომპანიების საქმიანი და ჰარმონიული ურთიერთობის მხარდაჭერა, ჯანსალი კონკურენციისთვის აუცილებელი ეთიკური მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა-ხელშეწყობა, კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირება, აღიარებული ბრენდების წახალისება და ახალი ბრენდების გამოვლენა, – აღნიშნა „პროფილის“ წარმომადგენელმა მანანა გეგიძემ.

,,პროფილი კვლევის“ მიერ გამოვლინდა გამარჯვებულები ხუთ ნომინაციაში – ლიდერი, რეპუტაცია და ნდობა, წარმატებული ახალი სახელი, წარმატებული ტელეპროექტი, ბრენდ-პერსონა.

– პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ბრენდების ფორმირება– პოპულარიზაციას შიდა და გარე ბაზარზე, კომპანიებს შორის არსებული კონკურენციის ჯანსაღი მეთოდების და ტექნოლოგიების დამკვიდრებას, ეთიკური ბიზნეს გარემოს არსებობას, კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებას, ქართულ ბიზნესში მიმდინარე პოზიტიური პროცესების მხარდაჭერასა და საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას. ბრენდების დაჯილდოების ყოველწლიური კონკურსი მრავალ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობს და ყველგან წარმატებულია. სწორედ ამ ფაქტმა გვიბიძგა პროექტის ავტორებს, საქართველოშიც აღგვეღნიშნა ეროვნული ბრენდების დღესასწაული. ,,ქართული ბრენდის დღეს“ 2003 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველი ღონისძიება სალონური ტიპის იყო და მასში მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. მოხარულები ვართ, რომ ,,ქართული ბრენდის დღე“ ყოველწლიურად ვითარდება და ფართო მასშტაბებს იძენს. ეს პროექტი მართლაც გამორჩეულია, რასაც მონაწილე კომპანიების, ექსპერტების, ბიზნესმენების და საზოგადოებრივი აზრის ლიდერების დადებითი განწყობა და ასევე მედია და სხვა სახის გამოხმაურებები ადასტურებს, – აღნიშნა „პროფილის“ გენერალურმა დირექტორმა.

„პროფილის“ მიერ დასახელებულ 5 ნომინაციაში გამარჯვებულები ასე გამოიყურებიან: ნომინაციაში „ახალი ქართული ბრენდი“ საუკეთესოებად დასახელდნენ იუსტიციის სახლი, საინფორმაციო ცენტრი 08, ნიუ ჰოსპიტალსი, კოლხურის კოსმეტიკა, ღვინის კომპანია შატო თელავი, ,,ორბი ჯგუფი“, სასტუმრო ლოპოტა, ბიგ-ბენდი. ნომინაცია წარმატებული ტელეპროექტი – ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა ,,დილა მშვიდობისა საქართველო“, ნომინაცია ლიდერი – სააქციო საზოგადოება წყალი მარგებელი ბრენდისათვის „ნაბეღლავი“, ფარმაცევტული კომპანია „პსპ ჯგუფი“, ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი, ტურისტული კომპანია ენ-ტური, კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“, პალიტრა მედია, სილამაზის სალონების ქსელი „ნატალი“, პოულტრი ჯორჯია ბრენდისათვის „კოდა“, ჟურნალი სარკე, კომპანია გურჯაანის ნაყინი, რადიო „ფორტუნა“, ღვინის კომპანია „თელავის ღვინის მარანი“, მოდის სახლი ,,ავთანდილი“. ნომინაცია წარმატებული საერთაშორისი პროექტი – ხობის საერთაშორისო ფესტივალი ,,სიმღერა სამეგრელოზე“. ნომინაცია ისტორიული ბრენდი – თბილისის დინამო, ნომინაცია წარმატებული ტელე-პროექტი – ტელეკომპანია ,,იმედი“ გადაცემა ,,ნანუკას შოუ“, ქალაქ თბილისის მერია პროექტი ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე. ნომინაცია ინოვაციური პროექტების განხორციელებისთვის – ნატალია კვანტალიანი. ნომინაცია რეპუტაცია და ნდობა – მარი-გოლდი, დავით გაგუას კლინიკა, გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა ბრენდისათვის „კულა“, ალბატროსი, სასტუმროების ქსელი „კოპალა“, უნივერსალ ქარდ კორპორეიშენი „უნიქარდ“, გაზეთი პრაიმ-თაიმი, საქართველო ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,რუსთავი“.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის სტუმარი ბრენდები იყვნენ კასტელ საქართველო ბრენდი „ზეკარი“, ჟურნალი „ბიზენს თაიმ ჯორჯიან“, ბავშვთა კრეატიული განვითარების ცენტრი „ბლესინგი“, დიზაინერი ქეთი მოსიძე ბრენდი „ქემოსი“, კომპლექსი ,,კრუიზი“, ბრენდ-ნოუთ, „სპორტბეთი“ და კომპანია „ბელფუდი“.

– ჩვენი დიდი მონდომებისა და ძალისხმევის შედეგად, ,,ქართული ბრენდის დღე“ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად ჩამოყალიბდა. მინდა განვაცხადო, რომ დაგეგმილია მთელი რიგი სიახლეები, რაც პროექტის წინსვლას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ამ პროექტს თავიდანვე ჰქონდა მიზანი, რომ ხელი შეეწყო ქართული ბრენდების განვითარებისთვის. ჩანაფიქრმა გაამართლა და ამ სფეროში დიდი ინტერესი გამოიწვია. „ქართული ბრენდის დღემ“ ქართულ კომპანიებში ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ერთმანეთის წარმატებებს აღიარებენ და მუშაობენ იმაზე, რომ თავად გახდნენ ლიდერები. ეს უდავოდ ამ პროექტის გამარჯვებაა. ჩვენი შედეგები ზუსტად ასახავს საზოგადობრივ განწყობას და ბაზარზე რეალურ სურათს. ვულოცავ ყველა გამარჯვებულს და მიხარია, რომ საქართველოში ყოველწლიურად სიტუაცია იცვლება, – განაცხადა სააგენტო „პროფილის“ საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა ელგუჯა მარღიამ.

# მეცნიერი ავანტიურისტები მთვარეზე უცხოპლანეტელებს ეძებენ



ჩვენს დროში, როცა უფოლოგებს და ასტრონომებს თუნდაც მარსზე სიცოცხლის არსებობის პრაქტიკულად არ სჯერათ და გონიერ არსებათა ნაკვალევს ჩვენი მზის სისტემის გარეთ ეძებენ, გამოჩნდნენ ავანტიურისტები, რომლებიც მზად არიან უცხოპლანტელების ნიშნები მთვარეზე ეძებონ.

ამისთვის, არიზონის შტატის უნივერსიტეტის პროფესორები პოლ დევისი და რობერტ ვაგნერი მთვარეზე ექსპედიციის განხორციელებისთვის ემზადებიან.

მათი აზრით, ამისთვის საკმარისია პლანეტის ზედაპირის ასეულობით ათასი ფოტოგრაფიის ანალიზი.

– უცხოპლანეტელებს მთვარის მტვრიან ზედაპირზე შეეძლოთ დაეტოვებინათ გზავნილები, სამეცნიერო ინსტრუმენტები, ნაგავი ანდა მოწმობები სამთო სამუშოებზე, რომლებიც შეიძლება შეენიშნათ ტელესკოპებს და ორბიტალურ თანამგზავრებს, – აღნიშნავს სტატიის ავტორი იენ სემპლი.

თუმცა, უცხოპლანეტელების ადრინდელი ვიზიტების აღმოჩენის შანსები ძალზედ მცირეა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მთვარის სურათების კომპიუტერული შესწავლა, პოტენციური აღმოჩენის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

საკმაოდ ძვირი ღონისძება იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერები და თეთრი სახლი, მკაცრად მიუდგნენ საზოგადოებაში არსებულ, უცხოპლანეტელებთან დაკავშირებულ კითხვებს და სათანადო პასუხების გაცემას შეეცადნენ.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ, ამასწინათ განაცხადა, რომ მათ არ აქვთ კონკრეტული მტკიცებულება, უცხოპლანეტელების არსებობასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, თეთრი სახლის ვებ-გვერდზე, ხუთი ათასზე მეტი ადამიანი ხელისუფლებისგან მოითხოვდა, რომ უცხოპლანეტელებთან არსებული კონტაქტის შესახებ, რეალური ინფორმაცია გაევრცელებინათ და საიდუმლოსთვის ფარდა აეხადათ. 12 ათასზე მეტი ადამიანი კი იწონებდა ამ მოთხოვნას.

სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ჩატარდა, ამერიკელების ნახევარზე მეტი თვლის, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ.

გამოკითხულთა 80 პროცენტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ იცის უცხოპლანეტელების შესახებ, მაგრამ მალავს ამ ინფორმაციას.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი იმასაც ამტკიცებს, რომ მათ ხელმძღვანელობას უკვე დიდი ხანია აქვს კონტაქტები სხვა პლანეტების წარმომადგენლებთან და მას საიდუმლოდ ინახავს.

შედეგად კი, ენთუზიასტთა დიდმა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ავღანელმა თვითმკვლელმა დამკრძლავი ცერემონიალი ააფეთქა



თვითმკვლელმა-ტერორისტმა ავღანურ პროვინცია ტაჰარში დამკრძლავი ცერემონიალის დროს აფეთქება განახორციელა, 22 ადამიანი დაიღუპა, დაახლოებით 50 დაშავდა, – ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს,.

ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, დაღუპულებს შორის იყო უზბეკეთის მკვიდრი, ავღნეთის პარლამენტის წევრი მუთალიბ ბეგი, წარსულში ავღანეთის გადარჩენის ისლამური ფრონტის ერთ-ერთი მეთაური, რომელიც მოძრაობა „თალიბანის“ წინააღმდეგ იბრძოდა.

სავარაუდოა, რომ ტერაქტის ორგანიზატორების სამიზნე სწორედ ის იყო.

ამ მომენტისთვის, არცერთ დაჯგუფებას აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არ აუღია. „ბი-ბი-სი“ თვლის, რომ ტერაქტის ორგანიზაციის უკან შეიძლება „ალ-ქაიდასთან“ დაკავშირებული რადიკალური დაჯგუფება, „უზბეკეთის ისლამური მოძრაობა იდგეს“.

# საახალწლო ღონისძიებები დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

31 დეკემბერს ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე მთავარი ღონისძიებები განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე გაიმართება. აღმაშენებლის გამზირზე საახალწლო სამზადისი უკვე მიმდინარეობს.

დასკვნითი საახალწლო გრანდიოზული გალა კონცერტი წელს თავისუფლების მოედნის ნაცვლად მარჯანიშვილის მოედანზე ჩატარდება, რომელიც საღამოს 10 საათზე დაიწყება. საახალწლო გალა კონცერტისთვის დამონტაჟებული სცენა 17 მეტრი სიგანის და 14 მეტრი სიღრმისაა. ღონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სცენა მთლიანად სადღესასწაულო ნივთებით იქნება გაფორმებული, დახრილი ჭერი ექნება და მთავარი აქცენტი განათებაზე გაკეთდება. საახალწლო გალა კონცერტისთვის სცენა მზად უკვე 28 დეკემბრისთვის იქნება.

31 დეკემბერს საახალწლო ღონისძიებები შუადღის 12 საათზე დაიწყება. მთელი დღის განმავლობაში მოეწყობა კოსტიუმირებული შოუები. საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენენ პანტომიმის თეატრი, თოჯინების თეატრი, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრი, მუსიკისა და დრამის თეატრი, საცირკო ხელოვნების მსახიობები, ანიმატორები, კინო და მულტიპლიკაციური ფილმების ცნობილი პერსონაჟები. აღმაშენებლის განახლებულ გამზირზე კონცერტებს გამართავენ ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ქუჩის მუსიკოსები, ბასტი ბუბუ, თანამედროვე მუსიკის წარმომადგენლები. დასკვნითი კონცერტი ჯანსულ კახიძის სახელობის ცოცხალი მუსიკის საღამოთი გაიხსნება. ორკესტრს ვახტანგ კახიძე უდირიჟორებს. ორკესტრის შემდეგ სცენა უკვე თანამედროვე ქართველ შემსრულებლებს დაეთმობათ, რომლებიც მარჯანიშვილის მოედანზე შეკრებილი მსმენელისთვის ცნობილ ჰიტებს და სიმღერების პრემიერებს წარმოადგენენ.

საახალწლო ღონისძიებები თბილისში 5 იანვრამდე გაგრძელდება. გრანდიოზული 25 მეტრის სიგრძის ნაძვის ხე პარლამენტის შენობის წინ კი 18 იანვრამდე დარჩება.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 2. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 3. გეოდეზიური ხელსაწყო; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. პურეული მცენარე; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ჯემისგულიანი კამფეტი; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების კავშირი საერთო მიზნის მისაღწევად. 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 20. სომხური ცეკვა.

**თარაზულად:** 6. კუთხე საქართველოში; 7. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 8. მაღაროს გასანათებელი მეშახტეთა ფარანი; 10. რაიონული ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში; 11. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. სათამაშო სახლი, კაზინო; 18. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ლოყა ანუ ...; 23. ესპანელი აზნაური; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ზურმუხტი; 6. აუდიტორია; 9. ნასკვი; 10. ლიდერი; 11. მარაო; 13. კრახი; 15. მაჯამა; 18. ზალპი; 21. კალენდარი; 22. ეშელონი; 23. სინდიყი.

**შვეულად:** 1. მურტალო; 2. გინგლი; 3. ადმირალი; 4. ნაოსნობა; 7. მიუსაფარი; 8. კლარნეტი; 12. ბროწეული; 14. მამითადი; 16. ბაზიერი; 17. პიკნიკი; 19. ფასი; 20. ალტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. და; 2. ადამ; 3. ანკეტა; 4. კოალა; 5. მადამ; 6. მირონ; 7. ალმა; 8. მთა; 9. იორი; 10. იმამი; 11. აპრიორი; 12. საკე; 13. სტაკატო; 14. ევა; 15. ნამყო; 16. მერიმე; 17. ფრაუ; 18. ადონისი; 19. ბარკაროლა; 20. ტო; 21. სასა; 22. მა; 23. რამზესი; 24. ბია; 25. არტეკი; 26. პი; 27. აბაკა; 28. მიო; 29. ირაო; 30. სეკვოია; 31. სკა; 32. კაა; 33. ლიე; 34. პარაბოლა; 35. არაუკარია; 36. ამაო.

**სურათებზე:** ბიონსე; ალეშანდრო პატო.

# დნესტრისპირეთმა კრემლს სამაგიერო გადაუხადა „პრეზიდენტად“ ოპოზიციონერი აირჩია

დნესტრისპირეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში დე ფაქტო პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ევგენი შევჩუკმა გაიმარჯვა.

შევჩუკის მოწინააღმდეგის ანატოლი კამინსკის საარჩევნო შტაბში საკუთარი კანდიდატის დამარცხება უკვე აღიარეს და განაცხადეს, რომ კანდიდატებს შორის სხვაობა 30%-ს შეადგენს.



ამ დროის მონაცემებით, შევჩუკი დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში – 73%-ს, კამინსკი კი დაახლოებით 23%-ს აგროვებს.

ყველას წინააღმდეგ ხმა დაახლოებით ამომრჩეველთა 4%-მა მისცა.

დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დნესტრისპირეთში 25 დეკემბერს გაიმართა.

რუსული მედია აღნიშნავს, რომ ბოლო თვეებში ეს არაღიარებულ რესპუბლიკებში, რუსეთის ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების მეორე დამარცხებაა. ამ კონტექსტში ისინი სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ არჩევნებს იხსენებენ.

„მგიმოს“ ერთ-ერთი პოლიტოლოგის აზრით, დნესტრისპირეთს მაცხოვრებლებმა ამ სახით მოსკოვის პოლიტიკისადმი პროტესტი გამოხატეს. ის ასევე დნესტრისპირეთის სიტუაციას და თავად რუსეთში საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე რეაქციებს შორის კავშირს ხედავს.

ევგენი შევჩუკმა განაცხადა, რომ ახალ წლამდე პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებას აპირებს. ეს გადაწყვეტილება მან დნესტრისპირეთში რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ახსნა.

შევჩუკმა დაამატა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, მთავრობა ინაუგურაციის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდეს. ინაუგურაციის ზუსტ თარიღს ახლადარჩეული პრეზიდენტი უახლოეს დროში დაასახელებს.

შვჩყკმა ბგანაცხადამ რომ ტირასპოლის საგარეო პოლიტიკაშ კარდინალური ცვლილებები არ მოხდება.

– ჩვენ მოლდაველთან მოლაპარაკების პროცესის სამართალმემკვიდრეები ვიქნებით; კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ავაშენებთ როგორც მოლდოვასთან, ასევე უკრაინასთან და განვამტკიცებთ რუსეთთან თანამშრომლობას ყველა სფეროში, – აცხადებს შევჩუკი.

ამასთან, რუსეთთან კავშირების განმტკიცებას ის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტად თვლის.

ცნობისთვის, თვითგამოცხადებული სეპარატისტული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი მოლდოვის ტერიტორიაზე, ე.წ. დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა.

მისი კონტროლის ქვეშაა მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპირო, რომელიც უპირატესად ეთნიკური რუსებით და უკრაინელებით არის დასახლებული, ასევე მარჯვენა სანაპიროს ქალაქი ბენდერი.

ფართობი: 3,567 კვ.კმ.

მოსახლეობა: 633 ათასი, მათ შორის მოლდაველები 40%.

დედაქალაქი: ტირასპოლი.

1991 წელს მოლდოვის მიერ დამოუკიდებლობის გამოაცხადებას მოჰყვა სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში.

იმავე წელს დნესტრისპირეთის სლავურმა მოსახლეობამ გამოაცხადა დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა, რასაც მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტი.

ამჟამად კონფლიქტი დაკონსერვებულია, მხარეებს შორის პირობით საზღვარზე რუსეთის სამშვიდობო ძალებია განლაგებული. სტატუსზე დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

# „რუსეთის ხელისუფლება მასობრივი საპროტესტო აქციების რადიკალურ პასუხს გასცემს“

„მიხეილ გორბაჩოვს არ აქვს უფლება, ვლადიმერ პუტინს გადადგომა ურჩიოს“, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა ფედერალური არხების ეთერში განაცხადა.

– უზარმაზარი ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელი, რომელმაც სინამდვილეში ის დაანგრია, ურჩევს თანამდებობიდან წასვლას ადამიანს, რომლის წყალობითაც რუსეთი იმავე ბედის გაზიარებას გადაურჩა,– განაცხადა პესკოვმა.

მიხეილ გორბაჩოვმა გუშინ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პუტინი პრეზიდენტის პოსტისთვის აღარ იბრძოლებდა, რადგან ის საკმარისზე მეტი ხანია ხელისუფლებაში იმყოფება.

ამასთან, ვლადიმერ პუტინის კრიტიკის შემდეგ 8 ენერგოკომპანიის ხელმძღვანელებმა თანამდებობები დატოვეს.

„ვედომოსტის“ ინფორმაციით, საკუთარი სურვილით თანამდებობებიდან წასვლის შესახებ გენადი ნიკიტინმა, ალექსანდრე ბობროვმა, დიმიტრი გვოზდევმა, ალექსეი სანიკოვმა, ევგენი კრიუჩკოვმა, იური ჟელიაბოვსკიმ, დიმიტრი პონომარიოვმა და კონსტანტინე პოდლესნიმ განაცხადეს.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა 19 დეკემბერს რამდენიმე ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი კორუფციაში დაადანაშაულა.

პოლიტიკური რეპრესიები ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართაც გრძელდება.

რუს ოპოზიციონერს სერგეი უდალცოვს ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა კიდევ 10 დღით გაუხანგრძლივეს.

ტვერის რაიონის სასამართლომ უდალცოვი სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში სცნო დამნაშავედ.

რუსი ოპოზიციონერი 4 დეკემბერს მოსკოვში გამართული აქციის დროს დააკავეს და ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გუშინ ეწურებოდა.



საპატიმროში უდალცოვი შიმშილობდა, რის გამოც მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.

ამ ფონზე, რუსეთის ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალექსეი კუდრინი ახალი პარტიის შესაქმნელად კონსულტაციებს იწყებს.

როგორც „კომერსანტს“ ყოფილმა მინისტრმა განუცხადა, „იგი ადამიანების ფართო წრესთან კონსულტაციებს აწარმოებს, თუმცა ჯერჯერობით არანაირი შეთანხმება მიღწეული არ არის“.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, „ხელისუფლებაში მუშაობის პერიოდში კუდრინი ცდილობდა, პარტიული სტრუქტურებისგან შორს ყოფილიყო, „ედინაია როსიასთან“ კი პერიოდულად კამათობდა კიდეც, თუმცა პარტიულ საკითხებზე მოსაზრებებს მაინც გამოთქვამდა“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი თანანმდებობიდან მიმდინარე წლის სექტემბერში გაათავისუფლა.

ამასობაში, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩევლის ანდრეი ილარიონოვის განცხადებით, „რუსეთის ხელისუფლება მასობრივი საპროტესტო აქციებისთვის რადიკალური პასუხის გასაცემად ემზადება“.

გამოცემა „რიდუსის“ ინფორმაციით, ილარიონოვი ოპოზიციონერი ლიდერების მკვლელობებს, ტერაქტებს, სამხედრო კონფლიქტებს და საგანგებო მდგომარეობის შემოღებასაც კი არ გამორიცხავს.

იგი რუსეთის მოქალაქეებს აფრთხილებს, „არ ჰქონდეთ ილუზია და იმის მოლოდინი, რომ კრემლი მათ მიერ დაყენებულ მოთხოვნებს შეასრულებს, უბრალოდ ამ ეტაპზე ხელისუფლება საპროტესტო გამოსვლებზე რეაგირებას და რაიმეს შეცვლას აუცილებლად არ თვლის“.

– კრემლი პროვოკაციებითა და დისკრედიტაციითა დაკავებული, მათ შორის – მათი, ვინც ამ მიტინგების ორგანიზებას ახორციელებს, თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რომ ხელისუფლება რევანშისა და ე.წ. ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციისგან მკვეთრი განხრის განხორციელებისთვის ემზადება, – განაცხადა ილარიონოვმა.

ამასთან, პუტინის ყოფილი მრჩეველი დარწმუნებულია, რომ „მომავალი წლის დასაწყისიდან რუსები გამკაცრებული ავტორიტარული რეჟიმის შედეგებს იგრძნობენ“ და აფრთხილებს მათ, რომ „ხელისუფლების არსენალშია უბედური შემთხვევები, ტერორისტული აქტები და სსრკ-ის აღდგენის შესახებ საერთაშორისო „ინიციატივები“.

მისივე აზრით, „პუტინის მხარდაჭერის ამჟამინდელი დონით საეჭვოა, მან 34-36%-ზე მეტი მოაგროვოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასშტაბური გაყალბებებიც კი მას გამარჯვებას ვერ მოუტანს, მეორე ტურმა კი შესაძლოა, რუსეთის ლიდერის რეიტინგი უბრალოდ დაასამაროს“.

# მეცნიერი ავანტიურისტები მთვარეზე უცხოპლანეტელებს ეძებენ

დასაწყისი მე-10 გვერდზე

რაოდენობამ ხელისუფლებას სიმართლის გამხელა მოსთხოვა.

თეთრმა სახლმა, თავისი ოფიციალური წარმომადგენლის, ფილ ლარსენის საშუალებით, საზოგადოებას შემდეგი განმარტება მიაწოდა:

„მეცნიერები ცდილობდნენ, ამ კითხვისთვის პასუხის გაცემას და ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სადღაც, ტრილიონ ვარსკვლავს შორის, მთელი კოსმოსის მასშტაბით, შესაძლოა, არსებობდეს პლანეტა, რომელიც გარკვეული ცივილიზაციით არის დასახლებული“.

– მეცნიერების ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ კონტაქტის ალბათობა, განსაკუთრებით კი იმათთან, რომლებსაც გარკვეული ინტელექტუალური მონაცემები აქვთ, მეტად დაბალია, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს შორის ძალიან დიდი მანძილია, – დასძინა თეთრი სახლის წარმომადგენელმა.

ამასთანავე, თეთრ სახლში აღნიშნეს, რომ მათი განცხადების საფუძველზე, შეუძლებელია იმის თქმა, რომ სახელმწიფო და ხელისუფლება არ განიხილავს ამ საკითხის აქტუალობის ალბათობას.

როგორც ფილ ლარსენმა განმარტა, შეერთებული შტატები რამდენიმე პროექტზე მუშაობს, რომელიც უცხოპლანეტელების აღმოჩენას ემსახურება.

ამასთანავე, მსგავსი საქმიანობით უკვე მრავალი წელია დაკავებულია „ნასაც“. მის მოვალეობაშიც შედის ისეთი პლანეტის აღმოჩენა, რომელიც მაქსიმალურად ჰგავს დედამიწას.

რაც შეეხება კონკრეტულად მთვარეს, იგი დედამიწის ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრია. მას რაიმე ფორმალური სახელი გარდა მთვარისა არ გააჩნია, თუმცა ზოგადად მეცნიერულ შრომებში მას „ლუნა“-დაც (ზედს. ლუნარული) მოიხსენიებენ.

მისი სიმბოლოა ნახევარმთვარე. მთვარის საშუალო სიშორე დედამიწიდან 384 399 კმ-ია. პერიგეუმში მანძილი 363 104 კმ -ია და აპოგეუმში 405 696 კმ. დიამეტრი 3 476 კმ-ია.

მთვარე ბნელი და ცივი, „ბრმა“ ციური სხეულია, რომელიც მზისგან არეკლილი სინათლით ანათებს, იგი მზიდან გამოსხივებული სინათლის მხოლოდ 7%-ს ირეკლავს.

პირველი ხელოვნური ობიექტი, რომელიც მთვარეზე დაეშვა იყო „ლუნა 2“ (1959). პირველი ფოტოსურათები მთვარის დედამიწისგან მოფარებულ მხარეს გადაიღო „ლუნა 3“-მა იმავე წელს.

პირველი ადამიანები, რომლებმაც მთვარეზე დადგეს ფეხი იყვნენ ხომალდიდან „აპოლო 11“ (აშშ, 1969).

მთვარის დაბნელება მხოლოდ სავსემთვარეობისას ხდება, როცა მთვარე დედამიწის ჩრდილში მოექცევა და მზის სინათლე მას ვერ სწვდება. მთვარე თითქოს ციდან ქრება.

ჩვენ მთვარის მხოლოდ ერთ მხარეს ვხედავთ, რადგან იგი მუდამ ერთი მხრითაა დედამიწისაკენ მოქცეული. არავინ იცოდა როგორი იყო მთვარის უკანა მხარე, სანამ 1960 წელს ხელოვნურმა თანამგზავრმა ფოტო არ გადაუღო.

იცვლის თუ არა მთვარე ფორმას? დედამიწის ირგვლივ მთვარის ბრუნვისას მზე მის სხვადასხვა ნაწილს ანათებს. სინამდვილეში მთვარის ფორმა სრულებით არ იცვლება. იგი 27,3 დღეს ანდომებს დედამიწის გარშემო შემობრუნებას. მთვარის „ფორმაცვლილებებს“ ფაზები ეწოდება.

როცა მზე მთვარის უკანა მხარეს ანათებს, მთვარე ცაზე თითქმის არ ჩანს. ამას ახალმთვარეობა ჰქვია. მომდევნო ორი კვირის მანძილზე, მთვარის დედამიწის ირგვლივ ბრუნვისას, მზის სინათლის ქვეშ მისი მეტი და მეტი ნაწილი ექცევა.

როცა მთვარე დედამიწას სანახევროდ შემოუვლის, იგი მთლიანად გამოჩნდება. ამას სავსემთვარეობა ჰქვია. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მთვარის დისკო ცაზე პატარავდება, რადგან მზის სინათლე მის სულ უფრო მცირე ნაწილს ხვდება. მალე მთვარე ახალ შემობრუნებას დაიწყებს.

როდესაც მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს, დედამიწიდან მთვარის მხოლოდ მზით განათებული მხარის სხვადასხვა ნაწილები ჩანს.

მთვარის ფორმა თხელი ნამგლის ფორმიდან, დისკოს ფორმამდე იმატებს, შემდეგ კი ისევ იკლებს. ძირითადად განირჩევა მთვარის ოთხი ფაზა: ახალი მთვარე, პირველი მეოთხედი, სავსე მთვარე და უკანასკნელი მეოთხედი.

მთელი ეს ციკლი დედამიწის 29,5 დღე-ღამეს მოიცავს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილი რუსუდან კიკნაძე, ძმიშვილები მერაბი, ნინო, მარიკა, ირინე გოგოლაშვილები, გია და არჩილ სიმონიშვილები, რძალი თამილა გაფრინდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, კონსერვატორიის პროფესორი

**თინათინ გოგოლაშვილი**

პანაშვიდი: 27, 28 დეკემბერს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 29 დეკემბერს, 14 საათზე;
მისამართი: არაგვის ქ. № 14.



შვილები მარინა, ნინო, ირინა, სიძეები ამირან გელენიძე, რეზო ბირკაია, გიზო ჩუბინიძე ოჯახებით, და იზო, ძმა იური ებანოიძეები, მეზობლები, მეგობრები, ახლობლები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბეჟან მიხეილის ძე ებანოიძე**

პანაშვიდი: 28, 29, 30 დეკემბერს, 15 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 31 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ბაღდათი, კეცხოველის ქუჩა №7.

მეგობრები მზია ჩიტიძე, მზია გოგნიაშვილი, ჯიმშერ იაშვილი, ილია მხეიძე, სოფიკო და ივანე ჯაფარიძეები გულისტკივილით თანაუგრძნობენ მაია კრაწაშვილს დედის, დიდებული ქალბატონის

**მაყვალა კრაწაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 27 დეკემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. "**ნიკიტა**" **17.00** მედინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. "**მეორე შანსი**" **21.00** სერ. "**ნიკიტა**" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.30** მხ. ფ. "**სასიკვდილო იარაღი 2**" (მ. გიბსონი) **02.00** კავკასუს ლაივი **03.00** მხ. ფილმი "**ანგარიშსწორება**" (ბ. აფლეკი) **05.00** მხ. ფილმი "**ჩვეულებრივი სასწაულები**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. "**ელიტარული უბანი**" **20.00** მხ.ფ."**ვარსკვლავური გზა: პირველი კონტაქტი**" **21.30** ევროკავშირი და საქართველო **01.00** მხ. ფილმი "**ქალა კატა**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**როსალინდა**" **11.00** სერ. "**კლონი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**მიყვარხარ ლოლა**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** მეალომანია **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** ან. ფილმი **08.00, 09.00, 10.00** ქრონიკა **08.15** სერ. "**ჰანა მონტანა**" **09.15** სერ. "**რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი**" **10.00** სერ. "**მოპარული ბედნიერება**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. "**ქალის სიტყვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. "**ეჰ, მეგობრებო**" მე-2ს. **16.00** სერ. "**შურისძიების საფასური**" **17.40** სერ. "**ევა ლუნა**" **19.05** სერ."**ბედისწერის ძალა**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **02.00** მხ. ფილმი "**მისტერ და მისის სმიტები**" (12) (ა. ჯოლი) **04.25** მხ. ფ. "**ვარსკვლავის დაბადება**" (ჰ. დაფი) **06.30** სერ. "**მარინა**"

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. "**ბარნუმი**" **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**კოდი კოპერნიკი**" **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "გოდერძი ჩოხელი" **10.50** ჩვენი ფონდი **11.15** სადვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" 1-ლი ნ. **13.20** კონცერტი – ზ. ბოლქვაძის საღამო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მულტფილმი "ჯუნგლების წიგნი" 1-ს. **16.05** კონცერტი – ლეონარდო ბერნსტაინი **17.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" მე-2ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ. ფილმი "**გლადიატორი**" 1-ლი ნ.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**27 დეკემბერი**

აშშ დოლარი — 1,6613
ევრო — 2,2702
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

***დასავლეთ საქართველო:*** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–15, ღამით — 4–7

***აღმოსავლეთ საქართველო:*** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11–17, ღამით — 9–13

***სამხრეთ საქართველო:*** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3–12, ღამით — -9–2

**ამინდის პროგნოზი 27 დეკემბრისთვის**




# მ ა ლ ე ! მ ა ლ ე ! მ ა ლ ე !

## გაზეთი „ახალი თაობა“ გთავაზობთ საშობაო-საახალწლო აქციას

# წიგნი 1 ლარად

## „ახალი ქართული პროზა“ 16 ტომი



**ტომი 1.** ოტია იოსელიანი. ქალი მაინც ქალია



**ტომი 2.** გურამ მეგრელიშვილი. ორი მილიონი უფასოდ



**ტომი 3.** ლაშა იმედაშვილი. სამი მკვლელობა ძველ თბილისში



**ტომი 4.** ნინო სადღობელაშვილი. თავშესაფარი



**ტომი 5.** ირაკლი ლომოური. პარალელური საქართველოს ქრონიკები



**ტომი 6.** ბაჩო კვირტია. მძინარე ციკლოპის ქახილი



**ტომი 7.** გივი ალხაზიშვილი. რკინის კარს აქეთ და იქით



**ტომი 8.** მიხო მოსულიშვილი. ფრენა უკასროდ



**ტომი 9.** გურამ ქართველიშვილი. ბაგრატიონის ქალი



**ტომი 10.** გიზო ნიშნიანიძე. პაემანი თბილისთან



**ტომი 11.** გურამ ოდიშარია. სოხუმში დაბრუნება



**ტომი 12.** გოდერძი ჩოხელი. სულეთის კიდობანი



**ტომი 13.** მაია ბურჭულაძე. მკაცრი რეჟიმის სასახლე



**ტომი 14.** ლაშა იმედაშვილი. პატრიარქის ზაფხული



**ტომი 15.** ოტია იოსელიანი. მუხლზე დაწერილი ბარათები



**ტომი 16.** ნინო ბასილია. შიში

## კროსვორდი ა

**ჰორიზონტალურად:** 1. ქვეითი ჯარის ძველებური სახელწოდება; 2. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 3. პატიმრის მკაცრად დასჯისათვის განკუთვნილი ცალკე საკანი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ყბაში ქვემოდან დარტყმა კრივში; 6. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 7. გიორგი დანელიას კინოკომედია; 9. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 13. წვრილი უკურკო ქიშმიში; 17. მამალი თხა; 18. იაპონელი მწერალი, რომან „საკურა“-ს ავტორი.

**თარაძულად:** 1. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 8. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 10. ტვინის შერყევა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 12 ძველებური ერთშუშიანი სათვალე; 14. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული ნიანგი; 16. ქიმიური ელემენტი, რბილი მოვერცხლისფერო ლითონი; 19. შეწეული სრიქონი ლექსში; 20. თანამედროვე ქართველი პოეტი; 21. ქართული სამშენებლო კომპანია.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა.




## ასტროპროგნოზი 27 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — საღამოს სიურპრიზი გელით, გახარებული ხართ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, დიდი გამარჯვება გელით. **ქალწული** — სახლში კარგი ახალი ამბავი გელით. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — პრობლემები არ გაქვთ, დიდი წარმატება გელით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — სანუკვარი ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით. **მერწყული** — ცხოვრება გეცვლებათ, სასიკეთო ძვრებია მოსალოდნელი. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ქორქია-საკანდელიძის ტურნირზე 4 გუნდი არ ითამაშებს



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სუპერლიგის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალის, აგრეთვე საქართველოს თასის გათამაშების კენჭისყრა მოაწყო და შეჯიბრებებში მონაწილე გუნდები ჯგუფებში გადაანაწილა.

საკანდელიძე-ქორქიას მემორიალი 16-20 იანვარს გაიმართება, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს 2 ჯგუფში გადანაწილებული 7 გუნდი (არმია, სტუ, დინამო; სოხუმი, შსს, თსუ, რუსთავი) თამაშები კი ვაკეში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართება.

მემორიალის დასრულების შემდეგ 23 იანვარს დაიწყება საქართველოს თასი, სადაც ძალებს მოსინჯავს სუპერლი-

გაგრძელება მე-9 გვერდზე